1948
ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წელიწადი მეთერთმეტე

| № 1 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1948 წ. |
|---|---|---|

## შინაარსი

1. ბრძანება № 2862, განათლების განყოფილებათა მუშაობის შესახებ . . 2 გვ.
2. ბრძანება № 27, გეგეჭკორის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4 „
3. ბრძანება № 28, აბაშისა და ცხაკაიას რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 9 „
4. ბრძანება № 29, ქ. ჭიათურის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ 19 „
5. მიმართვა, ონის რაიონის სახ. განათლების განყოფილების გამგეს . . . 25 „
6. მიმართვა, ამბროლაურის რაიონის სახ. განათლების განყოფილების გამგეს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 34 „

თბილისი — 1948

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2862

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## 1947 წლის 17 ნოემბერი

## განათლების განყოფილებათა მუშაობის შესახებ

შემჩნეულია, რომ რიგი რაიონების განათლების განყოფილებების გამგეები:

1. განათლების სამინისტროს სანქციისა და ბრძანების გარეშე ახდენენ რაიონის სკოლებში მომუშავე პედ.კადრების განთავისუფლებას, ხშირად, სრულიად უმიზეზოდაც კი, პედაგოგების განცხადების თანახმად (წალკა, დმანისი, ბოგდანოვკა, და სხვა):

2. გადაჰყავთ მასწავლებლები ერთი სკოლიდან მეორეში მასწავლებელთა სურვილის წინაამდეგ, ხშირად შუა წელშიც კი, და არა აუცილებელ შემთხვევაში, რაც იწვევს მასწავლებელთა უკმაყოფილებას, საჩივრებს, განათლების სამინისტროს და განყოფილებას შორის მიმოწერას და საქმეში სამინისტროს წარმომადგენლის ჩარევას (ჩოხატაური, ცხაკაია და სხვ.).

3. ნიშნავენ მასწავლებლებს ან ადგენენ პროექტს მათ დასანიშნავად პირადი ბარათების შედგენისა და სამინისტროში წარმოდგენის გარეშე (სამტრედია, ახალციხე, დმანისი).

4. პროექტს, პედპერსონალის შემადგენლობაში საჭირო ცვლილებების შესახებ, ადგენენ განათლების სამინისტროში ხშირად 2—3 თვით დაგვიანებით (თბილისის რ., გეგეჭკორი, ზუგდიდი, ზემოსვანეთი)

5. პედპერსონალის შემადგენლობაში გათვალისწინებული ცვლილებების პროექტს არ ურთავენ ახსნა-განმარტებითს მოხსენებით ბარათს ამ ცვლილებათა აუცილებლობის დასაბუთებით.

6. მასწავლებელთა პირადი ბარათებისა და სკოლის დირექტორების პირადი საქმეების აუცილებელ ყველა დოკუმენტს დროულად არ ადგენენ განათლების სამინისტროში (გეგეჭკორი, ცხაკაია, ზუგდიდი).

7. დაგვიანებით ადგენენ განათლების სამინისტროში პედპერსონალის აღრიცხვის მასალებს, რითაც ხელს უშლიან აღრიცხვის

ეროვნული

საქმის თავის დროზე მოწესრიგებას და სათანადო სიმაღლეზე დაყენებას (ბოლნისი, ქვ. სვანეთი, ყაზბეგი, ყვარელი).

8. მასწავლებელთა არადამაკმაყოფილებელი და სუსტი მუშაობის გამო განთავისუფლების პროექტს ადგენენ სამინისტროში საქმის საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში განუხილველად და სათანადო დასკვნების გამოუტანლად.

9. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განათლების განყოფილებიდან სამინისტროში მოდის შეცდომებით და არასწორად შედგენილი, განყოფილების გამგის მიერ ხელმოუწერელი და შეუმოწმებელი დოკუმენტები.

10. შემჩნეულია ისიც, რომ ხშირად მასწავლებლები რაიონიდან ჩამოდიან თბილისში მუშაობის პერიოდში განათლების განყოფილების გამგის ნებადაურთველად და ბრძანების გარეშე.

მიმაჩნია რა აღნიშნული დაუშვებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კატეგორიულად აეკრძალოს განათლების განყოფილების გამგეებს პედპერსონალის შემადგენლობაში რაიმე ცვლილებების შეტანა (განთავისუფლება, გადაყვანა, დანიშვნა) განათლების სამინისტროსაგან სათანადო სანქციის მიღებისა და სამინისტროს ბრძანების გარეშე.

2. ცვლილებები პედპერსონალის შემადგენლობაში დაშვებულ იქნეს მხოლოდ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, რის პროექტიც წარმოდგენილ იქნეს თავის დროზე.

3. სასწავლო წლის განმავლობაში აუცილებელი საჭიროებით გამოწვეული ყოველი ცალკეული ცვლილების საკითხი, სათანადო ახსნა-განმარტებით, წინასწარ ეცნობოს და შეთანხმებულ იქნეს განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებასთან.

4. დროულად იქნეს წარმოდგენილი განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებაში პედპერსონალის აღრიცხვის ყოველი მასალა, სწორად შედგენილი, სათანადოდ გაფორმებული და განყოფილების გამგის მიერ შემოწმებული.

5. არადამაკმაყოფილებელი და სუსტი მუშაობისათვის მასწავლებელთა სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი დაისვას განათლების სამინისტროს წინაშე საქმის საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში წინასწარი განხილვისა და სათანადო დასკვნების გამოტანის შემდეგ.

6. აეკრძალოს მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორებს, განათლების განყოფილების გამგის ნებადაურთველად მუშაობის პერიოდში თბილისში ჩამოსვლა.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 27

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

### 1948 წლის 12 იანვარი

## გეგეჭკორის რაიონის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ გეგეჭკორის რაიონის სკოლების უმრავლესობას მოპოვებული აქვთ ერთგვარი წარმატებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ადგილი არა აქვს სკოლის მუშაკთა მიერ სასკოლო რეჟიმის დარღვევას. გაკვეთილების ცხრილი და სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები ძირითადად სწორადაა შედგენილი; ამავე სკოლების პიონერორგანიზაცია დამაკმაყოფილებლად მუშაობს; კლასის ხელმძღვანელთა უმრავლესობა კარგად მუშაობს; გეგეჭკორისა და სოფ. მუხურჩის საშუალო სკოლაში კარგადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა. ცალკე საგნების სწავლების საქმეში სკოლებს გააჩნიათ ერთგვარი მიღწევები. კარგად ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას გეგეჭკორის საშუალო სკოლის VI, VII კლასის მასწავლებელი ნ. მასხულია და მუხურჩის საშუალო სკოლის X—XI კლასის მასწავლებელი ლ. ვაჰანია. დასახელებული სკოლის მოსწავლეებმა კარგად იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალა. შესწავლილი სკოლების ისტორიის მასწავლებლები სისტემატურად მუშაობენ იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად; გაკვეთილის ახსნის დროს იყენებენ თვალსაჩინოებას, დამხმარე ლიტერატურას, საპროგრამო მასალის გავლის დროს ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მომენტებზე და სხვა.

მაგრამ აღნიშნული სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს: მეტად ღარიბია ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები; კაბინეტებისათვის ცალკე ოთახები არ არის გამოყოფილი. ვედიდკარის რვაწლიან სკოლაში ცუდად არის შედგენილი სკოლის წლიური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა; გეგმაში ხშირად ერთი და იგივე საკითხები სხვადასხვა

ფორმით არის განმეორებული, მაგ., ერთ ადგილას წერია: „სასკოლო ასაკის სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა ჩაბმა სკოლის შესაფერ კლასებში. ცოტა ქვემოთ: „განთესილ მოსწავლეთა ჩაბმა შესაფერის კლასებში“ და სხვა. ძალზე ზოგადია ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის და კლასის ხელმძღვანელთა მეოთხედური სამუშაო გეგმები, ხოლო საგნის წლიური კალენდარული გეგმები გასული წლის პროგრამების მიხედვითაა შედგენილი.

ზოგ კლასის ხელმძღვანელთა ცუდი მუშაობის შედეგად, ადგილი აქვს მოსწავლეების მიერ გაკვეთილებიდან გაპარვას და უმიზეზოდ დაგვიანება-დაკლების შემთხვევებს; მაგ., ვედიდკარის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლე ბ. ფანცულაიას მიერ 10/XI ნებართვის გარეშე დატოვებულია ორი უკანასკნელი (გეომეტრიისა და ბუნებისმეტყველების) გაკვეთილი, გეგეჭკორის საშუალო სკოლაში 21/XI, XI კლასის მოსწავლე ფ—მ გეომეტრიის და ე.—მ 25/X—ს ფიზიკის გაკვეთილი დატოვეს და სხვა.

ხშირად საკლასო ჟურნალებში მასწავლებელთა ნაწილი არ ახდენს გადაცემული მასალის ჩაწერას, მოსწავლეთა მიმდინარე აღრიცხვას და მეოთხედური ნიშნების გადატანას (მუხურჩის საშუალო და ვედიდკარის რვაწლიანი სკოლა).

მუხურჩის საშუალო და ვედიდკარის რვაწლიანი სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ნაკლებად ისმენენ მასწავლებელთა გაკვეთილებს და არ ახდენენ მოსმენილი გაკვეთილების განზოგადებას. სოფ. მუხურჩის საშუალო სკოლის VI და VII კლასებში (მასწ. ალექსანდრე ფანცულაია), VIII კლასებში (მასწ. ლუბა ფოჩხუა), III—ბ. კლასში (მასწ. ქ. კვანტალიანი), ვედიდკარის რვაწლიანი სკოლის VI—VIII კლასებში (მასწ. გ. ნადარეიშვილი) სუსტად აქვთ დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. აღნიშნული კლასების მოსწავლეების წერითი და ზეპირი მეტყველების დონე დაბალია; მუხურჩის VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ი. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის ლექსების „პოეტის“ დედააზრი, ი. ჭავჭავაძის „გუთნის დედის“ დედა აზრი, IV კლასის მოსწავლეებმა საზეპირო მასალები სუსტად იციან, ვერ განმარტეს „გლახის ნაამბობიდან“ დათიკოსა და გაბროს კონფლიქტის სოციალური მიზეზი და სხვა. ამ სკოლებში კლასგარეშე კითხვის საქმეს არ ექცევა არავითარი ყურადღება.

ისტორიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი, სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა განვლილ საპროგრამო მასალის გამეორების საქმეს; მუხურჩის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ე. ფანცულაია) დამაკმაყოფილებლად იცოდნენ წინა გაკვე-

თილის მასალა, მასწავლებელმაც კარგად გადასცა ახალი გაკვეთილი, მაგრამ განვლილ მასალიდან მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებლად იცოდა: ლენინი, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ორი გზის შესახებ; მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი ხალხოსნობის შესახებ და სხვა.

ზოგ სკოლაში სუსტადაა დაყენებული გეოგრაფიის სწავლება. ვედიდკარის რვაწლიანი სკოლის V კლასის (მასწავლებელი თ. ურიდია) და მუხურჩის საშუალო სკოლის V კლასის (მასწავლებელი თ. ვაჰანია) მოსწავლეებმა არ იციან რუკის კითხვა; ვერ უჩვენეს რუკაზე აფრიკისა და ამერიკის მთავარი ტბები, სრუტეები (გიბრალტარის, მიზაბიკისა და სხვა.), ევროპისა და აზიის კუნძულები, ნახევარ-კუნძულები და სხვა.

გეგეჭკორის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა ალგებრაში სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს; მათ ვერ განმარტეს წყობა, გადანაცვლება და ჯუფთება, არ იცოდნენ ნიუტონის ბინომის ძირითადი თვისებანი და სხვა. ამავე სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა არ იციან წილადების შედარება, როგორ რიცხვებს ეწოდება ურთიერთ მარტივი რიცხვები, საერთო უდიდესი გამყოფი და საერთო უმცირესი ჯერადის მონახვა და სხვა.

მუხურჩის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწ. პ. ფანცულაია) მოსწავლეებმა ვერ განმარტეს წარმოსახვითი და კომპლექსური რიცხვები, არ იციან მოქმედებანი კომპლექსურ რიცხვებზე და სხვა. მათემატიკის სწავლება სუსტად არის დაყენებული აგრეთვე ვედიდკარის რვაწლიანი სკოლის VIII კლასში(მასწ. ნ. კეკელია). ამ კლასის მოსწავლეებმა ვერ განსაზღვრეს პარალელოგრამი, მართკუთხედი, რომბი, ტრაპეცია და სხვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სკოლის დირექტორებს (გამგეებს) და სასწავლო ნაწილის გამგეებს:

ა) გადაჭრით ალკვეთონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენისა და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევები; ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეამოწმონ მოსწავლეთა დაგვიანებისა და გაცდენის მიზეზები, ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეთა მშობლები, დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა და უზრუნველჰყონ ამ დარგში მოსწავლეთა წესების ზუსტად გატარება სკოლაში;

ბ) სისტემატურად დაესწრონ მასწავლებლებს გაკვეთილებზე, შეამოწმონ ცალკე სასწავლო დისციპლინებში საპროგრამო მასალის გავლა, მოსწავლეთა ცოდნა, მათი წერითი ნამუშევრები, გასწორება და შეფასება, კლასის ხელმძღვანელების მუშაობა, შედეგები განი–

ხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა, სისტემატურად შეამოწმონ კლასის ხელმძღვანელებისა და ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მიერ აღმზრდელობითი მუშაობა გაკვეთილებზე, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციები და მოსწავლეთა მშობლები;

დ) შეავსონ სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, უზრუნველჰყონ არსებული ფონდის მიხედვით კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სიების შედგენა, კლასების მიხედვით დააწესონ ზედამხედველობა კლასგარეშე კითხვის საქმეზე და პრაქტიკული ღონისძიებანი გაატარონ ამ დარგში არსებულ ჩამორჩენის გამოსასწორებლად;

ე) ყოველკარის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ 1948 წლის 15 იანვრამდე უზრუნველჰყონ მასწავლებელთა მიერ საგნის წლიური კალენდარული გეგმების საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამების შესაბამისად გადამუშავება;

2. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ ნაწარმოების შინაარსის მხატვრულად გადმოცემას, ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობას, მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლებას, შეგნებული, გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავებას, გრამატიკის სწავლების მტკიცედ დაკავშირებას ლიტერატურულ მასალასთან, წერითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, საწერი თემების შერჩევას პროგრამების მოთხოვნილებათა შესაბამისად, წერითი ნამუშევრების გულდასმით გასწორებასა და ობიექტურ შეფასებას.

3. ისტორიის სწავლებისას ფართოდ იქნეს გამოყენებული თვალსაჩინოება; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა მიერ მასალის მწყობრ და თანამიმდევრულ თხრობას, ისტორიული ამბებისა და მოვლენების, თარიღებისა და სახელების დაუმახინჯებლად გადმოცემას და ისტორიულ მოვლენათა შორის არსებულ მიზეზობრივი კავშირის შეგნებას.

4. დაევალოს მათემატიკის მასწავლებლებს:

ა) გააძლიერონ კონტროლი საშინაო დავალების შესრულებაზე; სისტემატურად აწარმოონ საშინაო რვეულების შემოწმება-გასწორება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკონტროლო წერითი სამუშაოთა თემების შერჩევას, ზუსტად გასწორებას და ობი-ექტურ შეფასებას;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა ზეპირ ანგარიშში, თითოეულ გაკვეთილზე ზეპირ ანგარიშს დაუთმონ 5 — 8 წუთი; გააძლიერონ ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე, მაგალითებზე ვარჯიშის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოქმედებათა სწორად დალაგებას და ფრჩხილებზე მოქმედებას;

დ) გეომეტრიულ თეორემათა შესწავლის დროს გამოიყენონ ანალიზური მეთოდი და ყურადღება მიაქციონ მსჯელობის უნარის გამომუშავებას;

ე) ფართო ადგილი დაუთმონ ტრიგონომეტრიულ იგივეობებზე ვარჯიშს მათემატიკური დებულებების, წესების, ფორმულების ზუსტი მათემატიკური ტერმინებით გადმოცემას და სხვა.

5. ეს ბრძანება განხილულ იქნეს გეგეჭკორის რაიონის ყველა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახული იქნეს სათანადო ღონისძიებანი.

**საქართველოს სსრ განათლების**
**მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 28

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი**

**1948 წლის 12 იანვარი**

## აბაშისა და ცხაკაიას რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ჩატარებული შემოწმების შედეგად წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აღვნიშნავ, რომ აბაშისა და ცხაკაიას რაიონების ზოგიერთ სკოლაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

შემოწმებულ საშუალო სკოლებს გააჩნიათ ყველა სახის სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები, რომელთა განხორციელებისათვის ზრუნავს ამ სკოლების პედაგოგიური კოლექტივი. ამ სკოლებში გაუმჯობესებულია მასწავლებლების მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა. გაუმჯობესებულია მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის და მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების ორგანიზაცია. მასწავლებელთა საკმაო ნაწილი ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის გაღრმავებისათვის. საკმაოდ არის გაშლილი მუშაობა სკოლიდან მოსწავლეთა ჩამოშორების წინააღმდეგ და სკოლაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. აბაშის I საშუალო სკოლას აქვს კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა. ძირითადად დამაკმაყოფილებელია პედსაბჭოების მუშაობა. კარგად მუშაობენ ისტორიის მასწავლებლები ლ.ნიკურაძე, შ.ახალაია და ხაბურზანია (ცხაკაიას I საშუალო სკოლა).

აღნიშნული სკოლის მასწავლებლები სათანადოდ არიან დაუფლებული თავის საგანს და მის სწავლების მეთოდიკას. ემზადებიან გაკვეთილებისათვის და სისტემატურად იყენებენ ისტორიის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკურ მასალას. დამაკმაყოფილებელია მასწ. ლ.ნიკურაძის მუშაობა მე-4 კლასში. მოსწავლეებმა კარგად იციან გავლილი მასალა. ისინი იძლევიან თვითნება ბოიარინთა სწორ დახასიათებას. მოსწავლეებს ნათლად აქვთ წარმოდგენილი

ბოიარინთა უარყოფითი გავლენა მომავალ მეფე ივანე IV-ზე. მოსწავ-
ლეებს ესმით ივანე IV-ის დაპყრობითი პოლიტიკის ძირითადი
მიზნები და სწორად ერკვევიან რუსეთის მრავალერიან სახელმწი-
ფოდ გადაქცევის საკითხში. გავლილი მასალა მოსწავლეებმა დამაკ-
მაყოფილებლად იციან.

ასევე დამაკმაყოფილებლად იციან გავლილი მასალა მე-10
კლასის მოსწავლეებმა (მასწ.შ.ახალაია). ისინი სწორად ერკვევიან
იმ მიზეზებში, რამაც აუცილებელი გახადა რუსეთში ბურჟუაზიული
რეფორმების გატარება და ბატონყმობის ლიკვიდაცია. აგრეთვე
სწორად ესმით, თუ რატომ იყო მცდარი ხალხოსანთა მიერ წამო-
ყენებული დებულებები და მათი თეორია ისტორიაში ერთეულ
„გმირთა“ გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭების შესახებ და სხვა.
მე-9 კლასის მოსწავლეებმა (მასწ.ა.ხაბურზანია) ზუსტად გადმოსცეს
სევასტოპოლის გმირული დაცვის სურათი. ყირიმის ომში მეფის
რუსეთის დამარცხების მიზეზების აღნიშვნისას მათ მოხერხებულად
გამოიყენეს მარქსისა და ენგელსის აზრი მაშინდელი რუსეთის ჩამორ-
ჩენილობის მიზეზების შესახებ. აგრეთვე მოიგონეს ლენინის აზრი
იმის შესახებ, რომ ყირიმის ომმა გამოამჟღავნა ბატონყმური რუსეთის
სიდამპლე და უძლურება. მასწავლებელმა კარგად გამოიყენა აღნიშ-
ნული მასალა მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდისათვის.
მასალის შეჯამებისას მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გმირულ
პატრიოტიზმს, რომელსაც იჩენდნენ სევასტოპოლის დამცველები
ინგლისელ და ფრანგ დამპყრობთა წინააღმდეგ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქიმიის მასწავლებლები ბ.გვაზავა
(აბაშის I საშ. სკოლა) და თ.კვატაშიძე (ცხაკაიას I ვაჟთა სკოლა).

აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა დამაკმაყო-
ფილებლად იცის გავლილი მასალა. ერკვევიან ისეთ საკითხებში,
როგორიცაა ქიმიის ძირითადი ცნებანი და კანონები, გამართულად
წერენ ქიმიის ფორმულებსა და ტოლობებს. მოსწავლეები ვარჯიშობენ
ქიმიის ამოცანების ამოხსნაზე. მასწავლებლები იყენებენ სწავლების
პროცესში თვალსაჩინოებას. ატარებენ საკონტროლო წერით მუშა-
ობას (ცხაკაიას ვაჟთა საშუალო სკოლა), ატარებენ ექსკურსიას
სათანადო საპროგრამო მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნული
სკოლები მუშაობენ გეგმიანად და სხვ.

აბაშის განათლების განყოფილებას სერიოზული ნაბიჯი აქვს
გადადგმული სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე კონტრო-
ლისა და ხელმძღვანელობის დარგში. განათლების განყოფილებას
სექტემბრიდან დღემდე შეუმოწმებია 42 სკოლა და მასწავლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებისათვის მიუცია საკმაოდ სწორი მითითებანი შემჩნეული დეფექტების გამოსწორებისათვის.

მაგრამ ამასთანავე, აღნიშნულ რაიონების შემოწმებულ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს თვალსაჩინო დეფექტებს.

ძველი აბაშის (დირექტორი რ. კუპრავა), მარნის (დირექტორი ამ. კოპალეიშვილი) და ცხაკაიას (დირ. ვ. დავითაია). საშუალო სკოლებს არ გააჩნიათ წესრიგში მოყვანილი სასწავლო კაბინეტები, რაც არის, ისიც მასწავლებლების მიერ არ არის სათანადოდ გამოყენებული ამ საგნების სწავლების თვალსაჩინოებისათვის. მასწავლებლებს არ უზრუნვიათ წესრიგში მოეყვანათ არსებული ხელსაწყოები და ბევრი ხელსაწყოთაგანი აუწყობელი და უმოქმედოა.

ამ სკოლებში დირექტორები და მასწავლებლები არ ზრუნავენ სასკოლო ბიბლიოთეკის საჭირო წიგნებით შესავსებად. რაც არის, ისიც გამოუყენებელია. მოსწავლეები და მასწავლებლები წიგნებით ნაკლებად სარგებლობენ. კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების დარგში ერთგვარ წარმატების მიუხედავად, ადგილი აქვს მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების შემთხვევებს.

ძველი აბაშის საშუალო სკოლიდან განთესილია 1/IX-დან 4 მოსწავლე, ცხაკაიას I ვაჟთა საშუალო სკოლიდან—4 მოსწავლე, ცხაკაიას I და მარნის საშუალო სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა უმიზეზოდ გაცდენის მრავალ შემთხვევას.

სკოლების მიუტევებელ დეფექტად უნდა ჩაითვალოს მოსწავლეთა წარმატების ძალზე დაბალი დონე.

I მეოთხედის შედეგად, ცხაკაიას I ვაჟთა საშუალო სკოლის 354 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 139 მოსწავლე, ცხაკაიას ვაჟთა I საშუალო სკოლის მე-8 კლასის 22 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 12 მოსწავლე, მე-9 კლასის 23 მოსწავლიდან—11 მოსწავლე, მე-5 კლასის 26 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 16 მოსწავლე.

მარნის საშუალო სკოლის IV კლასის 16 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 9 მოსწავლე. V კლასის 29 მოსწავლიდან—12 მოსწავლე, VI კლასის 33 მოსწავლიდან 15 მოსწავლე, VIII კლასში 19 მოსწავლიდან 9 მოსწავლე, XI კლასში 28 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 12 მოსწავლე და ა. შ.

მოსწავლეთა ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა, იმით აიხსნება, რომ ზოგმა მასწავლებელმა ყალბად გაიგო სკოლაში სოცშეჯიბრების

გაუქმებისა და პროცენტომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, ხელი აიღო მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის ბრძოლაზე, ჩამორჩენილ მოსწავლეებისათვის დახმარებაზე და თავისი მოვალეობა გაკვეთილების გადაცემით განსაზღვრა. ასეთი ფორმალური და უსულგულო დამოკიდებულების შედეგად მრავალი მოსწავლე ჩამორჩა სწავლაში.

აღნიშნული სკოლების დირექტორები (გარდა აბაშის I საშუალო სკოლისა) სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ უწევენ მასწავლებლების მუშაობას.

მარნის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ა. კოპალეიშვილს მოსმენილი აქვს 34 გაკვეთილი, მაგრამ 23 გაკვეთილზე დასწრების შედეგები გაუფორმებელია. გაკვეთილებზე დასწრების შედეგად მიცემული მითითებანი მეთოდურად არასწორია. ხოლო ძველი აბაშისა და ცხაკაიას საშუალო სკოლის დირექტორებს, კუპრავასა და დავითაიას, არცერთი გაკვეთილი არ მოუსმენია.

ზოგი მასწავლებელი ნაკლებად ზრუნავს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასა და პედაგოგიური კვალიფიკაციის გაუმჯობესებაზე. არ კითხულობენ პოლიტიკურ ლიტერატურას, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს, არ ესწრებიან ლექციებს, საუბრებს და სხვ.

აბაშის I საშუალო სკოლის მასწავლებლები სკოლის მდიდარი ბიბლიოთეკით არ სარგებლობენ. სკოლის ბიბლიოთეკაში 500-ზე მეტი პოლიტიკური ლიტერატურაა, ხოლო მასწავლებლების მიერ სექტემბრიდან მხოლოდ 10 წიგნი არის გატანილი წასაკითხავად.

ზოგი სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწ. გამგის და კლასის ხელმძღვანელების წლიური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები ზერელე და ფორმალურ ხასიათს ატარებენ. მაგალითად, ცხაკაიას I საშ. სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო გეგმაში შესრულების ვადად ხშირად აღნიშნულია „მეოთხედის დასაწყისში“, „ყოველ მეოთხედში“, „დრო შერჩევით“, „მთელი წლის მანძილზე“ და სხვა, ძველი აბაშისა და მარნის საშუალო სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეთა გეგმები არ არიან დაზუსტებული და შესასრულებელი საკითხები სათანადოდ ფორმულირებული. გეგმებში არ ჩანს თუ როდის, რომელ მასწავლებელს და რომელ გაკვეთილზე უნდა დაესწროს დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე. არ ხდება შესასრულებელი სამუშაოს შესრულების აღნიშვნა და სხვა. ზოგიერთი კლ. ხელმძღვანელის გეგმაში შეტანილია ზოგადი ხასიათის საკითხები. მაგ., მარნის საშუალო სკოლის I-ა კლასის ხელმძღვანელს შეტანილი აქვს შემდეგი საკითხი: „აღმოვ-

ფხვრი აკადემიურ ჩამორჩენილობას 10/XI – 31/XII-მდე„. „ვებრძოლებ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონის ამაღლებისათვის“. მას გეგმაში შეტანილი აქვს ასეთი ღონისძიება: „მოვისმენ მოსწავლეთა კრებაზე გამოცდილების მიზნით ერთი კარგი წარმატების მქონე მოსწავლის თვითანგარიშს და აგრეთვე ერთი ცუდოსნის თვითანგარიშს“.

II-ბ კლასის ხელმძღვანელს გეგმაში შეტანილი აქვს: „მოსწავლეთა ქცევის წესების ხელმეორედ წაკითხვა კლასში და მისი ზეპირად შესწავლა თითოეული მოსწავლის მიერ და შესრულების შემოწმება სისტემატურად“ და სხვ.

მოსწავლეთა პირადი საქმეები სავსებით კარგად არცერთ შემოწმებულ სკოლის კლასის ხელმძღვანელის მიერ არ არის მოწესრიგებული. არ არის შეტანილი მოსწავლეთა პირად საქმეებში წარმატების ნიშნები; არავითარი ცნობები არ მოიპოვება მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ. არ დგება მოსწავლეთა პედაგოგიური დახასიათება, ხოლო იშვიათ შემთხვევაში ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი პედაგოგიური დახასიათება არარის სრული და დამაკმაყოფილებელი. მაგ. ძველი აბაშის საშ. სკოლის მე-7 კლასის ხელმძღვანელს ჩაუწერია: „სწავლაში საშუალო, აკადემიური დონე საშუალო, დისციპლინა კარგი, ამხანაგებთან დამოკიდებულება კარგი“.

მარნისა და ცხაკაიას საშ. სკოლებს სათანადოდ ვერ შეუჯამებიათ I მეოთხედში ჩატარებული მუშაობა და ვერ დაუსახავთ შესაფერი ღონისძიებანი აკადემიურად ჩამორჩენილ კლასების მიმართ.

ზოგ სკოლაში ისტორიის სწავლებისას უგულებელყოფილია მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანები. აგრეთვე მოსწავლეთა მომზადების დონე არ დგას სასურველ სიმაღლეზე.

აბაშის I საშ. სკოლის მე-4 კლასში (მასწ. ალ. ჯანელიძე) ვერცერთმა გამოძახებულმა მოსწავლემ ვერ შესძლო გაკვეთილის ბოლომდე მოყოლა. მათ არა აქვთ ნათელი წარმოდგენა ჩრდ. რუსეთის სამთავროების გაერთიანების შესახებ. არ იციან სად მდებარეობდა ნოვგოროდის, ტვერის, რიაზანის სამთავროები (მასწავლებელს გაკვეთილზე რუკა არ გამოუყენებია). ზოგჯერ მოსწავლეები ისტორიულ ფაქტებს ამახინჯებდნენ, რაც მასწავლებლის მიერ შეუმჩნეველი რჩებოდა. მაგ., მოსწავლე ამბობდა: „მეფე ივანესა და ყაენს შორის მოხდა სასტიკი ბრძოლა და ამ ბრძოლაში თათრები დამარცხდენო“ და სხვა. მასწავლებელმა ვერ შესძლო ახალი მასალის სათანადოდ გადაცემა. მან მოსწავლეებს არასწორად განუმარტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე III მიერ 1497 წელს გამოცემული კანონი. ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებს (მასწ. მ. ჯანელიძე) უძნელდებათ თავიანთი აზრის სწორად გადმოცემა. დაუსრულებლივ იმეორებენ ერთსა და იმავეს. ხმარობენ არასწორ გამოთქმებს. მაგ. მოსწავლე ამბობდა: „მდიდრები თუ უარყოფით ნიშნებს შეატყობდნენ, მეფეს აუჯანყდებოდნენო“ და სხვა. მიცემული გაკვეთილის — „თავისუფლების დიდი ქარტია“ განხილვის დროს მასწავლებელი დაკმაყოფილდა მხოლოდ ისტორიული ფაქტის გადმოცემით და მოსწავლეთა ყურადღება არ გაუმახვილებია დიდი ქარტიის მნიშვნელობაზე. არადამაკმაყოფილებელია სკოლის მე-9 და მე 10 კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე. მათ სწორად არ ესმით სტოლიპინის საგლეხო რეფორმის ნამდვილი მიზანი. მხოლოდ მოსწავლეთა ნაწილმა შესძლო რსდმპ II ყრილობაზე განხილულ საკითხებისა და 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ ცოტა რამ ეთქვა.

მარნის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა გავლილი მასალა სუსტად იციან. მათ არ იციან სად მდებარეობდა კართაგენი. ზოგიერთ მოსწავლეს ჰგონია, რომ ძვ. რომი აფრიკაში მდებარეობდა. მხოლოდ ერთმა მოსწავლემ შესძლო დაესახელებია კართაგენის სარდალი ჰანი-ბალი და სხვა.

ძველი აბაშის საშუალო სკოლის IX—X კლასის მოსწავლეები ხშირად იძლეოდნენ მცდარ განმარტებებს (რაც მასწ. მიერ გაუსწორებელი რჩებოდა), მაგ., მოსწავლეები ამბობდნენ: „პეტრე გაემგზავრა ინგლისის ერთ-ერთ სახელმწიფოში ჰოლანდიაში“, „მეფე ცდილობდა რევოლუციის ელემენტები თავიდან აეცილებინაო“ და სხვა. მასწავლებელმა პეტრე I-ის შვედებთან წარმოებული ომის საკითხი სათანადოდ ვერ გააშუქა, როგორც სამართლიანი ომი, რომელიც სწარმოებდა რუსი ხალხის ინტერესებისათვის.

შემოწმებული სკოლების მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი ყოველთვის არ იყენებს თავის შესაძლებლობას და სათანადოდ არ იბრძვის მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის. არ აწარმოებენ გავლილი მასალის სისტემატურად გამეორებას (არც ერთ მოსმენილ გაკვეთილზე გავლილი მასალა ამა თუ იმ სახით არ ყოფილა გამეორებული). აღნიშნული სკოლის მასწავლებლები კმაყოფილდებიან 1—2 მოსწავლის გამოძახებით. არ ახდენენ მასალის გამტკიცებისა და გაღრმავების მიზნით ფრონტალურ გამოკითხვას (ისეთ შემთხვევებშიდაც კი, როცა გაკვეთილი მოსწავლეებმა სუსტად იციან). არ აჯამებენ გაკვეთილის მასალას, ხაზს არ უსვამენ ძირითად ფაქტებსა და მოვლენებს.

სისტემატურად არ იყენებენ ისტორიის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყოებს (რუკას, სურათებს და სხვ.).

ეროვნული

ქიმიის სწავლებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს შემდეგ ნაკლოვანებებს: მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონე ზოგიერთ კლასებში (ძვ. აბაშის საშუალო სკოლის IX კლასი, მარნის საშუალო სკოლის X კლასი და ცხაკაიას I ვაჟთა საშუალო სკოლის IX კლასი) დაბალია. მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა. გამართულად ვერ სწერენ ქიმიის ფორმულებსა და ტოლობებს, გააზრებულად ვერ გადმოსცემენ ქიმიის ძირითად ცნებებსა და კანონებს არ შესწევთ უნარი ქიმიის მარტივი ამოცანების ამოხსნისა, არ გააჩნიათ მოსწავლეებს პრაქტიკული ჩვევანი. ქიმიის სწავლების პროცესში ზოგიერთი სკოლის მასწავლებლები არ იყენებენ თვალსაჩინოებას, არ ატარებენ ცდას. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა საშინაო დავალების შემოწმებას. ზოგ სკოლებში არ ატარებენ საკონტროლო წერით მუშაობას ქიმიაში (აბაშის რვაწლიანი სკოლა, მარნის საშუალო სკოლა, ძველი აბაშის საშ. სკოლა). ასევე ნაკლები ყურადღება ექცევა ექსკურსიის გამოყენებას ქიმიის სწავლებაში.

შესწავლილი სკოლების (ძველი აბაშის, მარნისა და აბაშის I საშუალო სკოლა) ქიმიის მასწავლებლები არ იყენებენ სასკოლო მიწის ნაკვეთს ქიმიის სწავლებაში, რის გამოც მოსწავლეებს არ გააჩნიათ სასკოლო-სამეურნეო პრაქტიკის ჩვევები.

სუსტია სკოლებში ქიმიის წრის მუშაობა. ქიმიის წრისათვის შერჩეული თემატიკა შეუფერებელია. ჩატარებული რეფერატები სკოლაში არ ინახება და სხვ.

ზემოაღნიშნული დეფექტების უახლოეს დროში გამოსწორების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:**

1. მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ცალკეულ დისციპლინებში საპროგრამო მასალის დროულად და ხარისხიანად გავლას. სისტემატურად აწარმოონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმდინარე აღრიცხვა. კერძოდ მარნის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. კინწურაშვილმა და ცხაკაიას 1 ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. დავითაიამ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პირველ მეოთხედში ზოგიერთ კლასებში (IV, VIII, VI, — V, VIII, X და XI) მოსწავლეთა დაბალი მოსწრების დროულად გამოსწორებისათვის.

2. ცხაკაიას I ვაჟთა, ძველი აბაშის, მარნის საშ. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა უმოკლეს დროში შეასწორონ და დააზუსტონ თავიანთი მუშაობის მეოთხედური სამუშაო

გეგმები. გეგმებში ზუსტად განსაზღვრონ მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრების ვადები.

3. ძველი აბაშის, მარნის და ცხაკაიას I ვაჟთა საშ. სკოლების ადმინისტრაციამ გააუმჯობესოს პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. საფუძვლიანად შეაჯამონ მეოთხედებში ჩატარებული მუშაობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სწავლების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. საფუძვლიანად გააფორმონ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები. ოქმებში შეიტანონ, როგორც მოსმენილი საკითხების შინაარსი, ისე ამა თუ იმ საკითხზე კამათში გამოსულ მასწავლებელთა აზრი. სისტემატურად შეამოწმონ მიღებულ დადგენილებათა შესრულება.

4. ძველი აბაშისა და ცხაკაიას 1 ვაჟთა საშუალო სკოლამ 10 დღის ვადაში უზრუნველჰყონ სკოლიდან განთესილი ბავშვების სწავლებაში ჩაბმა. აწარმოონ სკოლიდან გასულ და შემოსულ მოსწავლეთა ზუსტი აღრიცხვა სპეციალურ სააღრიცხვო რვეულში.

5. დროულად მიიღონ ზომები საგნის მასწავლებლებთან ერთად ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის და გეოგრაფიის კაბინეტების წესრიგში მოყვანისა და შევსებისათვის ხელსაწყოებითა, რეაქტივებითა, ტაბულებითა და რუკებით, ხოლო ძველი აბაშისა და ცხაკაიას ვაჟთა პირველ საშუალო სკოლამ უმოკლეს დროში მოაწყოს სკოლაში კლას - ლაბორატორია (ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიისათვის) და უზრუნველჰყონ ის სათანადო მოწყობილობით (მერხები, მაგიდები, კარადები და სხვ.).

6. გააძლიერონ მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლი: სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე, მოსმენილი გაკვეთილები განიხილონ პედსაბჭოს სხდომებზე და მასწავლებელთა თათბირებზე. მასწავლებლებს მისცენ კონკრეტული მითითებანი გაკვეთილზე შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად და აწარმოონ მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმება

7. სასკოლო მიწის ნაკვეთი გამოიყენონ სასწავლო-სააღმზრდელო მიზნით. ამ მიზნით დაავალონ ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის მასწავლებლებს შეადგინონ სკოლის ნაკვეთზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის გეგმა. აღნიშნული გეგმის შესრულებას გაუწიონ სისტემატური კონტროლი.

8. კ ლ ა ს ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ე ბ მ ა მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგებას. სისტემატურად შეიტანონ ცნობები მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ, მეოთხედური წარმატების ნიშნები და მოსწავლეთა სრული, პედაგოგიური დახასიათება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს. გულმოდგინედ იმუშაონ თავიანთ თავზე იდეურ-პოლიტიკურ მომზადებისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით გამოიყენონ მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, ჟურნალები და გაზეთები.

1. ქიმიის მასწავლებლებმა ერთი კვირის ვადაში შეიტანონ წლიურ კალენდარულ გეგმებსა და თემატიკურ გეგმებში შესწორებანი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პროგრამაში შეტანილ ცვლილებათა მიხედვით.

ა) ძველი აბაშის ქიმიის მასწავლებელმა დ. ქოიავამ და ცხაკაიას ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. კვატაშიძემ, გააძლიერონ მე-9 კლასებში საგნის სწავლება, დასახონ ამის შესახებ კონკრეტული ღონისძიებანი და უმოკლეს დროში მიაღწიონ ამ კლასებში მოსწავლეთა მიერ მიცემული მასალის ხარისხიანად, გააზრებულად და სრულყოფილად შეთვისებას;

F1054

ბ) ქიმიის სწავლებაში სისტემატურად გამოიყენონ ექსპერიმენტი. გაკვეთილებზე თვალსაჩინოების გამოყენების გზით მიაღწიონ მოსწავლეებში პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. დაუკავშირონ თეორიული სწავლება პრაქტიკას და უზრუნველჰყონ მოსწავლეთა მომზადება მომავალ პრაქტიკულ მუშაობისათვის;

გ) გააძლიერონ მოსწავლეთა ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე. გამოანგარიშებითი ხასიათის ამოცანებთან ერთად ავარჯიშონ მოსწავლეები ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანებზე. მისცენ მოსწავლეებს საშინაო დავალების სახით ამოსახსნელად ამოცანები. ხშირად მოახდინონ საშინაო დავალებათა შემოწმება. შემოიღონ მეოთხედში 2-3-ჯერ საკონტროლო წერითი მუშაობანი ქიმიაში.

2. ისტორიის მასწავლებლებმა გაკვეთილის გამოკითხვისას მუშაობაში ჩააბან მოსწავლეთა მთელი შემადგენლობა და მიაღწიონ იმას, რომ ყველა დასმულ კითხვებზე მოსწავლეები იძლეოდნენ სწორ და ამომწურავ პასუხებს. ყოველთვის შეაჯამონ მიცემული გაკვეთილის მასალა და მოსწავლეების ყურადღება მიაქციონ დამუშავებული მასალის მთავარ მომენტებზე. აღკვეთონ ერთი და იმავე სიტყვებისა და წინადადებების ხშირი გამეორება და სისტემატურად გაასწორონ მოსწავლეთა მცდარი პასუხები.

ა) ღრმად გააშუქონ ისტორიის პროგრამით გათვალისწინებული თითოეული საკითხი. მოსწავლეები შეაჩვიონ ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს, და მათ შესახებ სწორი დასკვნების გამოტანას. ყოველი ისტორიული მოვლენა გამოიყენონ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გავლილი მასალის გამეორებას. გამეორებისას მთავარ მიზნად დასახონ მოსწავლეთა მიერ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამიმდევრობით მტკიცეთ შეითვისება. ისტორიული პროცესის მიზეზშედეგობრივი კავშირის ღრმად გაგება და სათანადო დასკვნების გამოტანა, რომლებიც მიიყვანს მოსწავლეებს ისტორიის მარქსისტულ გაგებამდე;

მასალის დამუშავებისას სისტემატურად გამოიყენონ ისტორიის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყოები (რუკა, სურათები, ისტორიულ პირთა პორტრეტები, ნივთიერი კულტურის ადგილობრივი ძეგლები და სხვა). ისტორიული მასალის ხასიათის მიხედვით სისტემატურად მისცენ მოსწავლეებს შესაფერი დავალებანი (ჩანახატების წარმოება, დიაგრამების, სქემების, რუკებისა და ალბომების შედგენა და სხვა);

მიეთითოს მარნის საშ. სკოლის მასწ. ტ. დიდიძეს, რომელიც არ იყენებს თავის შესაძლებლობას და არ ატარებს ხარისხიან გაკვეთილებს, რის გამოც მე 6 კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. დაევალოს მას არსებითად გარდაქმნას თავისი მუშაობა და მიაღწიოს მოსწავლეთა მიერ მასალის მტკიცედ და შეგნებულად შეთვისებას;

აბაშის 1 ვაჟთა საშუალო სკოლის მე-4 კლასების მასწ. ალ. ჯანელიძეს ჩამოერთვას აღნიშნულ კლასებში ისტორიის გაკვეთილები და გადაეცეს ისტორიის უკეთმცოდნე მასწავლებელს.

## II. აბაშისა და ცხაკაიას განათლების განყოფილებებმა:

1. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა პოლიტიკურ-იდეური დონის ამაღლების საკითხებს: დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. გააძლიერონ მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა.

2. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის უზრუნველყონ სკოლები საქართველოს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებით. ცხაკაიას განათლების განყოფილებამ დროულად მიიღოს ზომები სკოლების მუშაობის შემოწმებისათვის. მოახდინოს შემოწმების შედეგების სკოლებამდე დაყვანა.

3. მოსწავლეთა უმიზეზოდ დაკლება-დაგვიანების აღმოფხვრის მიზნით სისტემატურად შეისწავლონ სკოლების მუშაობა ამ დარგში. შეამოწმონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 11 აგვისტოს ბრძანების შესრულება და დასახონ საჭირო ღონისძიებანი ამ ბრძანების განუხრელად გატარებისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1947 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე**
**მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 29

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

**1947 წლის 12 დეკემბერი**

### ჭიათურის სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ.

გავეცანი რა ქ. ჭიათურის სკოლების გამოკვლევის შედეგებს ალვნიშნავ, რომ სკოლების ხელმძღვანელობა და მასწავლებელთა უმრავლესობა ძირითადად სწორად წარმართავს მუშაობას და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში აღწევს გარკვეულ წარმატებებს. კარგად ფლობენ საგანს და სწავლების მეთოდებს. 1 და მე-3 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. მუმლაძე და ტ. ქამუშაძე. ისინი მოსწავლეებში იმუშავებენ ზეპირი და წერითი მეტყველების მაღალ კულტურას. კარგად აწარმოებს მუშაობას მე-3 საშუალო სკოლის სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელი მ. გოგსაძე, აღნიშნული სკოლის X—XI კლასის მოსწავლეებს სავსებით გააზრებულად აქვთ ათვისებული გავლილი მასალა, შესწევთ ისტორიულ პირთა და მოვლენათა სწორად შეფასებისა, სათანადო დასკვნების გამოტანისა და მათი განზოგადების უნარი. მასწავლებელ ნ. მირზაშვილის მიერ კარგად არის დაყენებული რუსულ რვაწლიან სკოლაში ქართული ენის სწავლების საქმე, VII—VIII კლასის მოსწავლენი ქართული ენის საპროგრამო მასალას კარგად ეუფლებიან. ისინი ახერხებენ სწორი ქართული ენით გადმოსცენ თავიანთი აზრი, წაკითხული და გაგონილი. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მე-2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი თ. ტყემალაძე. კარგად მუშაობს მე-2 საშ. სკოლაში ფიზიკის შემსწავლელთა წრე (მასწავ. ვ. კურტანიძე), მე-3 საშ. სკოლაში ისტორიის წრე (მასწ. მ. გოგსაძე) და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა დასახელებულ სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის V—VIII კლასების მასწავლებლების მიერ (გ. ტყემალაძე, ელ. გაფრინდაშვილი. ტ. ქამუშაძე) ლიტერატურაში წლიური კალენდარული გეგმის შედგე-

ნისას უგულებელყოფილია პროგრამის განმარტებითი ბარათის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია:

„პროგრამაში ნაწარმოებები დალაგებულია ავტორების მიხედვით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაწარმოებები ასეთივე თანმიმდევრობით უნდა ისწავლებოდეს. ნაწარმოებები უნდა შევასწავლოთ იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია ახალ ქრესტომათიებში“ — და ფაქტიურად მუშაობასაც იმგვარად წარმართავენ, რომ წინა პლანზეა წამოწეული არა ცალკეული მხატვრული ნაწარმოების შინაარსის შესწავლა და ტექსტზე მუშაობა, არამედ მწერლის მთლიანი შემოქმედების ზერელე და სქემატური მოხაზვა.

IX—X—XI კლასებში მწერალთა მთლიანი შემოქმედების განხილვისას ზოგიერთი მასწავლებლები არასაკმაო ყურადღებას უთმობენ ცალკე მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას მის ღრმა ანალიზს და ტექსტზე მუშაობას. მოსწავლენი ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებიდანაც კი, როგორიც არის შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ცალკე ეპიზოდებს გადმოსცემენ მშრალად, სტროფებისა და აფორიზმების გამოუყენებლად (მე-3 სკოლა IX კლ.)

დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში მრავლად არის ორთოგრაფიული, სტილისტური და სხვ. ხასიათის შეცდომები. მასწავლებლები ჯეროვან ყურადღებით არ ეკიდებიან წერისათვის მზადების საქმეს. მე-2 საშ. სკოლის V კლასის მოსწავლეებს (მასწ. ელ. გაფრინდაშვილი) საწერად მიცემული ჰქონდათ სურათის აღწერა „მაიმუნი და ქუდები“, ნამუშევარში ზოგმა მოსწავლემ მაიმუნის საერთო ზოოლოგიური აღწერა შეიტანა, ზოგმა გადმოსცა შთაბეჭდილება ზოოპარკში ნახულ მაიმუნზე. ძლიერ მცირე ნაწილი იძლევა სურათის აღწერას და მასაც მრავალ ენობრივი ხასიათის შეცდომებით.

მე-3 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს სტილისტური ხასიათის შეცდომათა სიმრავლე ახასიათებს. მოსწ. ე. გ. წერს: „გრ. ორბელიანს გადაჩეხა მოუხდა წარსულში“, ი.ტ. წერს: „მისი (ალ. ჭავჭავაძე) შემოქმედება ევროპულ პოეზიისათვის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მარად უჭკნობ ძეგლად შევიდა“ და სხვ.

ცუდად არის დაყენებული სკოლებში სუფთა წერის საქმე. II—III კლასის მასწავლებელთა უმრავლესობა არ იცნობს პროგრამის განმარტებით ბარათს სუფთა წერის შესახებ, არც „ქართული წერის დედანს“, რის გამო სუფთა წერა აღნიშნულ კლასებში არ ემსახურება თავის ამოცანას. II კლასში სუფთა წერაში მიღებულ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვევებს არ იყენებენ მოსწავლენი, ხოლო III კლასში ამ ჩვევათა განმტკიცებისათვის ზრუნვა სრულებით არ ჩანს. მოსწავლენი წერენ ასოთა გადაბმისა და გამარტივების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში სწორი და ლამაზი დაწერილობისათვის ბრძოლა ნაკლებად სწარმოებს, რის გამო თითქმის ყველა კლასის მოსწავლენი წერენ ულამაზოდ.

2. სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელთა ნაწილი სისტემატურად არ მუშაობს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის; საფუძვლიანად არ ემზადება გაკვეთილისათვის და არ იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. ასე მაგალითად, პირველ საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებს (მასწ. ვ. შუკაკიძე) არ შეუძლიათ ისტორიული მოვლენების დალაგებით გადმოცემა, პასუხებით ირკვევა, რომ მოსწავლენი მასალას სწავლობენ ზეპირად და ამ მავნე ჩვევის აღმოსაფხვრელად მასწავლებელი საკმაოდ არ იბრძვის; ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო მინაცემ მასალის, „რუსეთის ხალხთა ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა 1905 წელს", დალაგებული და გააზრებული გადმოცემა, ვერ შესძლეს ეპასუხათ კითხვაზე „რამ შეუწყო ხელი ნაციონალურ გამანთავისუფლებელი მოძრაობის ზრდას რუსეთში 1905 წელს", სწორად არ ესმით მოსწავლეებს გლეხთა რეფორმის გამომწვევი მიზეზები, ვერ აღწერენ გლეხთა მდგომარეობას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. სუსტი წარმოდგენა აქვთ კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებზე რუსეთში, რუსეთ-იაპონიის ომის გამომწვევ მიზეზებზე და სხვ. ამავე სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ტყემალაძე) სუსტად იციან განვლილი მასალა. ვერ ერკვევიან ისტორიულ ტერმინებში. მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს ეგვიპტის ბუნების აღწერა, არა აქვთ წარმოდგენა ეგვიპტისა და ბაბილონის კულტურაზე, ნომების გაერთიანებაზე, არ იციან ვინ იყო ჰამურაბი და სხვ.

მასალის ცოდნის დაბალ დონეს ამჟღავნებენ მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები (მასწ. .ნ. რობაქიძე), გაკვეთილი „სამი ივნისის მონარქია" ვერ გადმოსცეს მოსწავლეებმა. არ იციან როდის იქნა მოწვეული I სახელმწიფო სათათბირო, არ ესმით სტოლიპინის აგრარული რეფორმის სოციალური არსი და სხვ. ასევე, დაბალია ამავე სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის დონე სსრკ კონსტიტუციაში, არ იციან მოსწავლეებმა რას ეწოდება კონსტიტუცია, ვერ არკვევენ ჩვენსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებს შორის არსებულ სხვაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად არის დაყენებული ისტორიის სწავლება რუსულ რვაწლიან სკოლაში (მასწ. ნიკონოვიდი). მიუხედავად იმისა, რომ VIII კლასი გასულ სასწავლო წლის მასალას იმეორებს, მოსწავლეთა ცოდნის დაბალ დონეს ამჟღავნებენ. ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ გადმოსცა მინაცემ მასალის შინაარსი (ინგლისის რევოლუცია), არ იციან როგორ დამთავრდა 30 წლიანი ომი, წარმოდგენა არა აქვთ პურიტანებზე, პარლამენტზე.

3. მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს აღნიშნული სკოლების პედსაბჭოს მუშაობას. სხდომაზე მოსმენილ საკითხებზე მიღებული ღონისძიებები ზოგადი ხასიათისაა, მაგ. მე-3 საშ. სკოლაში წერითი მეტყველების კულტურის შესახებ მიღებული ღონისძიება ზოგადია და არავის არაფერს არ ავალებს. პირველი საშუალო სკოლის პედსაბჭოს მიერ, შემოწმების დღისათვის, ცალკე სასწავლო დისციპლინის სწავლებაში არსებული მდგომარეობის შესახებ მხოლოდ დ/სკოლაში ქართული ენის სწავლების საკითხია მოსმენილი. პედსაბჭოს ოქმები არ ფორმდება დებულების შესაბამისად (მე-3 საშუალო სკოლა).

4. სკოლაში მეთოდური მუშაობის გაშლის შესახებ არსებული დებულება ყველა სკოლაში არ არის მართებულად გაგებული, მე-3 საშუალო სკოლაში დებულებით უნდა არსებობდეს ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის საგნობრივი მეთოდ-კომისია, მაგრამ სინამდვილეში არ არსებობს. არსებულ საგნობრივ მეთოდ-კომისიების მუშაობას ახასიათებს ზერელობა. გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე ყოველთვის არ ტარდება მუშაობა, გეგმებში არ არის გათვალისწინებული საგაზაფხულო გამოცდებთან დაკავშირებული საკითხები (ბილეთებზე მუშაობა და განხილვა, მასალის გამეორების ორგანიზაცია, საგამოცდო ინსტრუქციის შესწავლა და სხვ.).

მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის საგნობრივ კომისიას გეგმით გათვალისწინებული აქვს საკითხის „ქართული ენის ნორმების“ განხილვა. ყველა საგნობრივ კომისიას არ გამოაქვს საკითხები მომზადებულად. პირველ საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ მეთოდ-კომისიას 7/IX განუხილავს საკითხი საგნის წლიური კალენდარული გეგმების გაცნობის შესახებ და გამოუტანია დადგენილება მისი მიღების შესახებ, როდესაც აღნიშნული გეგმები სკოლის დირექციის მიერ განხილული და დამტკიცებულ იქნა ჯერ კიდევ აგვისტოში. იმავე კომისიას ერთერთ სხდომაზე მოუსმენია მეტად მნიშვნელოვანი საკითხი „О преподавании русской литературы в грузинских школах“, მაგრამ ჩანაწერებით დასტურდება, რომ ამ საკითხის განხილვისას თეორიულ მხარეს არავინ შეხებია, აღნიშნავენ მხოლოდ, რომ ხშირად იცვლებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები, პროგრამაში ზოგი რთული მასალაა შეტანილი და ეს უშლის მუშაობას ხელს.

ღია გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა მე-3 საშუალო სკოლაში სუსტია (ჩატარებულია მხოლოდ ერთი გაკვეთილი).

5. სათანადო სიმაღლეზე არ დგას შესწავლილ სკოლებში მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა. სკოლის დირექცია, კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებელთა მთელი კოლექტივი ნაკლებად იბრძვის მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის. მე-2 საშუალო სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეშად დარღვევის (მოწ. ჩხუნაშვილი), სასკოლო ინვენტარის დაუზოგველობის, საკლასო ოთახების კედლებზე და დერეფნებში შეუფერებელი წარწერების გაკეთებისა და სხვათა შემთხვევებს. პირველ საშუალო სკოლიდან 5/XI-ს პედსაბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით გაირიცხა 3 მოსწავლე (მათ შორის გოგონებიც), ნიშანი ყოფაქცევაში დაეწია 4 მოსწავლეს. მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნაწილი (III კლ.) სკოლაში ცხადდება უსუფთაოდ, IX კლასის მოსწავლენი არ იცავენ ქცევის წესებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. წინადადება მიეცეს ქ. ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს:

1. გააძლიეროს სკოლებზე ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის, სკოლები დროულად უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებით. სკოლების მუშაობის შემოწმებას მისცეს უფრო სისტემატური ხასიათი და უზრუნველჰყოს შედეგების სკოლებამდე დროულად დაყვანის საქმე.

2. გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონისა, პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიურ დახელოვნებისათვის. მიიღოს ზომები ქალაქის სკოლების მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის გარდაქმნისათვის.

3. უხელმძღვანელოს V—VIII კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს წლიური კალენდარული გეგმის უახლოეს დროში მართებულად გადამუშავების საქმეში და II—III კლასის მასწავლებლებს სუფთა წერაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო ღონისძიებათა დასახვაში.

II. წინადადება მიეცეს სკოლის დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს:

1. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცალკე სასწავლო დისციპლინებში პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლას, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას და აკადემიური წარმატებების მიმდინარე აღრიცხვის საქმეს.

2. პედსაბჭოს მუშაობაში და სკოლაში მეთოდური მუშაობის გაშლის საქმეში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სათანადო დებულებებით.

3. სისტემატურად მოისმინონ საკითხი მოსწავლეთა ქცევის წესების შესრულების შესახებ და გაატარონ ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

4. პედსაბჭოს უახლოეს სხდომებზე განიხილონ საკითხი სკოლაში სუფთა წერის მდგომარეობის შესახებ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სუფთა წერის დარგში არსებული დეფექტების გამოსასწორებლად.

III. ცალკე სასწავლო დისციპლინების გაუმჯობესების მიზნით:

1. ცალკე საგნის მასწავლებლებმა სისტემატურად იზრუნონ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა, საგნის ღრმა ცოდნისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის, საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის V—VIII კლასის მასწავლებლებმა გადაამუშაონ საგნის წლიური კალენდარული გეგმები ოფიციალური პროგრამის განმარტებითი ბარათის შესაბამისად (ნაწარმოებთა შესწავლა იმ თანმიმდევრობით, როგორიც ეს მოცემულია ახალ ქრესტომათიებში). IX—X—XI კლასის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ცალკე მხატვრულ ნაწარმოების ანალიზისას ტექსტზე მუშაობას და იზრუნონ მოსწავლეებში წიგნზე მუშაობის ჩვევების გამომუშავებისათვის. იბრძოლონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების მაღალი კულტურისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერითი ნამუშევრების გულდასმით გასწორებას და ზუსტად დაიცვან წერითი მუშაობის ჩატარებისა და ნამუშევართა გასწორების წესები.

II—III კლასის მასწავლებლებმა გულდასმით შეისწავლონ „ქართული წერის დედანი", დაწყებითი სკოლის პროგრამიდან სუფთა წერის განმარტებითი ბარათი და გადაჭრით გააუმჯობესონ სუფთა წერის მდგომარეობა კლასებში.

3. ისტორიის მასწავლებლებმა გააძლიერონ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლენი შეგნებულად ითვისებდნენ ისტორიული მოვლენების წარმოშობისა და განვითარების მიზეზებს, მასალას სწავლობდნენ გააზრებულად და შეეძლოთ ისტორიული მოვლენის ანალიზი.

მასწ. ნ. რობაქიძემ და ნიკონომიდმა გეგმიანად წარმართონ თავიანთი მუშაობა და ყოველდღიურად ემზადონ გაკვეთილისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1947 წლის 9 დეკემბრის დადგენილება.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე**

მ. ბურჭულაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მშრომელთა დეპუტატების ონის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს ინსპექტორების, ე. ინგოროყვას, ბ. ბათიაშვილისა და მიხეილ დათიაშვილის მიერ წარმოდგენილი გამოკვლევის მასალებით დადასტურდა, რომ ქალ. ონის ქალთა და ვაჟთა საშუალო და შეუბნის რვაწლიან სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა ძირითადად სწორად მიმდინარეობს. სკოლის ასაკის ბავშვები ჩაბმულია სწავლებაში, უმიზეზო გაცდენები და გაკვეთილზე დაგვიანების შემთხვევები დაყვანილია მინიმუმამდე.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები ქართულ ენასა და ლიტერატურაში: ელ. ჯაფარიძე და ე. ლებანიძე (ონის ქალთა საშუალო სკოლა), ქ. ბენდიანიშვილი (შეუბნის რვაწლიანი სკოლა); სამოქალაქო ისტორიაში: კ. კერესელიძე (ონის ქალთა საშუალო სკოლა), ქ. ხავთასი (შეუბნის რვაწლიანი სკოლა); ბუნებისმეტყველებაში: თ. ჰიჰინაძე (ონის ქალთა საშუალო სკოლა), პ. ჯაფარიძე და თ. ჯაფარიძე (ონის ვაჟთა საშუალო სკოლა); ქიმიაში თ. ჰიჰინაძე (ონის ქალთა საშუალო სკოლა) და სხვ.

დასახელებული პირები საფუძვლიანად ემზადებიან გაკვეთილისათვის, გაკვეთილს ატარებენ გეგმიანად და მიმზიდველად. იყენებენ თვალსაჩინოებას და ატარებენ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობას, სათანადო ყურადღებას აქცევენ განვლილი მასალის გამეორებას, სასწავლო მასალას კარგად იყენებენ სააღმზრდელო მიზნით და მოსწავლეებს აძლევენ საფუძვლიან ცოდნას.

მიუხედავად ამისა, შესწავლილი სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს ზოგ ნაკლოვანებასაც.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა, არ არის ჩამოყალიბებული დაწყებითი კლასების მასწავლებელთა საკლასო მეთოდური კომისიები და საუბნო მეთოდური გაერთიანებები. საგნობრივი წრეების მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, პედაგოგიური საბჭოს მუშაობა არ სწარმოებს ახალი

დებულების შესაბამისად, გამოცდილებათა გაზიარებას არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი სასწავლო დისციპლინების სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია. ონის ქალთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ჯაფარიძე ქართული ენის სწავლებას სუსტად უკავშირებს მართლწერის საკითხებს, რის გამოც დაბალია V—VI კლასების მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის დონე, ვაჟთა საშუალო სკოლის VI—VIII კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ჯაფარიძე ლიტერატურის მასალის გავლისას დიდ დროს და ადგილს უთმობს მწერლის მთლიანი შემოქმედების განხილვას და სათანადო ყურადღებას არ აქცევს ცალკე ნაწარმოებთა ყოველმხრივ შესწავლას. მაგ. VII კლასში ი. ჭავჭავაძის ლექსის „ნანას“ ახსნისას გაკვეთილისათვის განკუთვნილი დროის უდიდესი ნაწილი მწერლის შემოქმედების ძირითადი მხარეების განხილვას მოანდომა, რის გამოც ნაწარმოების ანალიზი აღარ ჩატარებულა. შეუბნის რვაწლიანი სკოლის IV კლასის მასწავლებელმა ქ. ჩიკვილაძემ სუსტად იცის ქართული ენა, მან სახელის ფუძის პოვნის შესახებ მოსწავლეებს არასწორი განმარტება და წარმოდგენა მისცა. უმართებულოდ აბრუნა სახელი, „ამხანაგი“, ბრუნების დროს არასწორად გამოჰყო ფუძისა და ბრუნვის ნიშნები.

სახ. ამხანაგ—ი, მოთხ. ამხანაგმ—ა (მა), მიც. ამხანაგს, ნათ. ამხანაგი—ს (ის), მოქმ. ამხანაგი—თ (ით), მიმართ. ამხანაგა—დ (ად) წოდ. ამხანაგ—ო (ო), მესამე პირის ნიშნად მასწავლებელს ბგერა „ვ“ მიაჩნია.

ქ. ონის ქალთა და ვაჟთა საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები ლ. ჩიკვილაძე და მ. ბერუჩევი ქართული ენის სწავლებისას უგულებელჰყოფენ მოსწავლეთათვის საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული და ისტორიული ცოდნის მიწოდებას. ისინი არ არიან დაუფლებული ახსნითი კითხვისა და დაწყებით კლასებში საგნობრივი გაკვეთილების ჩატარების მეთოდიკას. შეკითხვაზე, თუ რომელი მდინარე უნახავთ? მოსწავლეებმა ვერ დაასახელეს მდინარე რიონი. III კლასში შესწავლილი აქვთ „საქართველოს ტბები,“ მაგრამ ვერცერთმა მოსწავლემ ვერ დაასახელა რაიონში არსებული ტბა არ იციან საკუთარი საცხოვრებელი ადგილისა და რაიონის სახელწოდება.

ონის ვაჟთა საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა რუსული ენისა და ლიტერატურის მასალის მეტად დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს. მოსწავლეთა ერთი ნაწილი მარტივ რუსულ ტექსტს სახელმძღვა-

ნელოდან კითხულობს ჩათვლით, გამოძახებულ მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ განმარტა არსებითი სახელის როლი წინადადებაში, ვერ აბრუნა სახელი „ночь" და ვერ ახსნა, თუ რომელ ბრუნვაშია „ночь", ასევე გაუძნელდათ მოსწავლეებს წინადადებაში განსაზღვრებათა და დამატების მოძებნა.

განვლილი ლიტერატურული მასალის შინაარსი იციან, მაგრამ ენის უცოდინარობის გამო ვერ ახერხებენ შინაარსის დალაგებული თხრობით გადმოცემას.

ისტორიისა და სსრკ კონსტიტუციის მასალის ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს ონის ქალთა საშუალო სკოლის V და VIII კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებელი ეფრემ ხახიაშვილი). V კლასის მოსწავლეები, მასწავლებლის დაუხმარებლად ვერ ახერხებენ მასალის თხრობას, მათ არა აქვთ გამომუშავებული რუკის კითხვის ჩვევები, ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ვერ ასახელებენ იმ ადგილს, სადაც ეს მოვლენები მოხდა; ეგვიპტეს მსოფლიოს დასავლეთ ნახევარსფეროში ეძებენ, ხოლო მდინარე ნილოსს მცირე აზიაში. მოსწავლეებმა ვერ აღწერეს ძველი ეგვიპტის ბუნება და კულტურა, ვერ ერკვევიან ისტორიულ ტერმინებში და სხვ.

VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან, თუ რას ეწოდება კონსტიტუცია, არა აქვთ გააზრებული განსხვავება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებს შორის, ვერ ერკვევიან 1924 წლის კონსტიტუციის 1936 წლის სტალინური კონსტიტუციით შეცვლის მიზეზებში და სხვ.

ონის რაიონის შესწავლილ სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

**1. განათლების განყოფილების გამგემ პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად:**

ა) 10 დღის ვადაში შეამოწმოს რაიონის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საგნის წლიური კალენდარული გეგმების განათლების სამინისტროს პროგრამებთან შესაბამისობას და დასახოს საჭირო ღონისძიებანი;

ბ) უმოკლეს ვადაში მოიწვიოს სკოლის დირექტორების (გამგეების) თათბირი, განიხილოს სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობის საკითხი და დასახოს ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველჰყოფს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარი-

სხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სწორად წარმართვას;

გ) გეგმიანად წარმართოს მუშაობა მასწავლებელთა [illegible]-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისა და პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების მიმართულებით პერიოდულად მოაწყოს მასწავლებელთათვის მეცნიერული ხასიათის მოხსენებები და ლექციები;

დ) გადაჭრით გააუმჯობესოს პედაგოგიური კაბინეტის საგნობრივი სექციების მუშაობა, სექციების ხელმძღვანელთა მეშვეობით მჭიდრო კავშირი დაამყაროს ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებთან და აღმოუჩინონ მათ მეთოდური დახმარება. გეგმიანად აწარმოონ სექციების შეკრება და პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის საკითხების განხილვა. ყველა სკოლაში, სადაც მასწავლებელთა რაოდენობა ამის შესაძლებლობას იძლევა, ჩამოაყალიბოს I—IV კლასების მასწავლებელთა საკლასო, V — XI კლასების მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიები და საუბნო გაერთიანებანი და გაუწიოს მათ სისტემატური ხელმძღვანელობა;

ე) სისტემატურად აწარმოოს სკოლებში ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლებისა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მდგომარეობის შემოწმება; გულდასმით შეისწავლოს I, II და III კლასებში ბუნებისმეტყველების, ისტორიისა და გეოგრაფიის ელემენტების სწავლების მდგომარეობა. შედეგები განიხილოს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახოს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი; სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე მისცენ სკოლებს წერილობითი მითითებები და განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება;

ვ) შეამოწმოს სკოლებში პედაგოგიური საბჭოს მუშაობა და უზრუნველჰყოს პედაგოგიური საბჭოს მუშაობის ახალი დებულების შესაბამისად წარმართვა;

ზ) ზემდგომი ორგანოების დირექტივები—ბრძანებები, დებულებები, განკარგულებები და მითითებები—დროულად დაიყვანოს სკოლებამდე და დასახოს მათი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

### სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-მუშაობის დაგეგმვა-აღრიცხვის საქმე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნის წლიური კალენდარული გეგმების ოფიციალურ პროგრამებით შესაბამისობას. სისტემატური კონტროლი დააწესონ გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე; პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე პერიოდულად

მოისმინონ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმების შესრულების საკითხი და დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) უმოკლეს ვადაში გარდაქმნან საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების მუშაობა და აქციონ ისინი სკოლაში მეთოდური მუშაობის ძირითად რგოლად. საგნობრივი და საკლასო კომისიების მუშაობის მიმდინარეობა პერიოდულად განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველჰყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სასკოლო დოკუმენტების წარმოებაზე და მოვლა-პატრონობაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკლასო ჟურნალის წარმოებას, პირადად შეამოწმონ მასწავლებელთა მიერ საკლასო ჟურნალში დამუშავებული მასალისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშნების ჩაწერის საქმე. უმოკლეს დროში მოიყვანონ წესრიგში მოსწავლეთა პირადი საქმე;

დ) სადირექტივო ორგანოების ბრძანებები, დადგენილებები, დებულებები, განკარგულებები და მითითებანი დროულად გააცნონ მასწავლებლებს, მიიღონ მათი შესრულებისათვის საჭირო ზომები და უზრუნველჰყონ ამ დოკუმენტების სკოლის საქმეებში დაცვა;

ე) გააძლიერონ მუშაობა სკოლაში სანიტარული რეჟიმისა და მოსწავლეებში პირადი ჰიგიენის დაცვაზე. კლასის ხელმძღვანელთა და მედპერსონალის მეშვეობით გეგმიანად აწარმოონ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის მდგომარეობა. მოსწავლეებში და მათ მშობლებთან ჩაატარონ საუბრები, მოხსენებები და ლექციები სანიტარია-ჰიგიენის საკითხებზე;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, დაწესებული რაოდენობით მოისმინონ გაკვეთილები, პირადად გამოარკვიონ პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გავლის მდგომარეობა, ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების ხარისხი, გაკვეთილის პროცესში სასწავლო მასალის მოსწავლეთა იდეურ პოლიტიკური აღზრდისათვის გამოყენება და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის მიმდინარეობას და სასწავლო ხასიათის ექსკურსიების დროულად და ორგანიზებულად ჩატარებას; გაკვეთილების მოსმენის შედეგები განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

ზ) განუხრელი კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების შესრულებაზე. შეამოწმონ კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მდგომარეობა, პედაგოგიურ საბჭოს სხდო-

მაზე პერიოდულად მოისმინონ მათი თვითანგარიში და დასახონ სათანადო ღონისძიებანი;

თ) პედაგოგიური საბჭოს მუშაობა წარმართონ დებულების შესაბამისად. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მოისმინონ ცალკე სასწავლო დისციპლინებისა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მდგომარეობა და დასახონ ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველჰყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას;

ი) გადაჭრით გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის მოწესრიგებას, პირადად შეამოწმონ მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა ამ მიმართულებით: სათანადო ზომები მიიღონ სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გასაძლიერებლად და უზრუნველჰყონ მისი მიზანშეწონილად გამოყენება და მოვლა-პატრონობა;

კ) საჭირო ზომები მიიღონ სასწავლო კაბინეტების შესავსებად, ყოველდღიური კონტროლი დააწესონ თვალსაჩინო—დიდაქტიკური მასალის სწავლებაში გამოყენებაზე.

### III. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

ა) საგნის წლიური კალენდარული გეგმა გადაამუშაოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამების შესაბამისად. ონის ქალთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნ. ჯაფარიძემ ქართული ენის სწავლება დაუკავშიროს მართლწერის საკითხებს და მიიღოს საჭირო ზომები მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონის ამაღლებისათვის; ლიტერატურის მასალის გავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ნაწარმოების (მოთხრობის, პოემის, ლექსის) ყოველმხრივ ანალიზს;

ბ) შეუბნის რვაწლიანი სკოლის IV კლასის მასწავლებელმა ქ. ჩიქვილაძემ სისტემატურად იმუშაოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პედაგოგიურ-მეთოდურ დაზელოვნებაზე, საფუძვლიანად მოემზადოს ყოველი გაკვეთილისათვის და უზრუნველჰყოს საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება;

გ) I, II და III კლასების მასწავლებლებმა ქართული ენის სწავლებასთან ორგანულ კავშირში სათანადო დრო დაუთმონ ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და ისტორიის ელემენტების სწავლებას, მეთოდურად სწორად ჩაატარონ ახსნითი კითხვა და საგნობრივი გაკვეთილები, აღნიშნული საგნების ელემენტების

სწავლებისას მეტი ყურადღება მიაქციონ მხარეთმცოდნეობის პრინციპის გატარებას, შეასწავლონ მოსწავლეებს საცხოვრებელი ადგილის ბუნება, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და აღზარდონ მათში სოციალისტური სამშობლოს სიყვარული;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) ონის ქალთა საშუალო სკოლის სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელმა ე. ხახიაშვილმა გადაჭრით გააუმჯობესოს საგნის სწავლების ხარისხი; სწავლებაში გამოიყენოს თვალსაჩინოება, ავარჯიშოს მოსწავლეები რუკის კითხვაში და გამოიმუშაოს მათში ისტორიულ რუკაზე ორიენტირების ჩვევები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა მიერ ისტორიული სახელებისა და ტერმინების სწორად გაგებას, ისტორიულ მოვლენათა საფუძვლიანად შესწავლას და ქრონოლოგიის ცოდნას. სისტემატური ვარჯიშით აღზარდოს მოსწავლეებში ისტორიის მასალის თანამიმდევრული დალაგებული თხრობითი გადმოცემისა და ისტორიულ მოვლენათა განზოგადების უნარი;

ე) ონის ვაჟთა საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ა. მაისურაძემ საჭირო ზომები მიიღოს XI კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად, სისტემატურად ამუშაოს მოსწავლეები ტექსტზე, დაავალოს მათ ლექსების, პოემების და პროზაულ ნაწარმოებთა ცალკე ადგილების ზეპირად დასწავლა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრებას, რუსული სიტყვების სწორად გამოთქმას, მახვილისა და რბილი ნიშნის შართებულად ხმარებას; პირადად უხელმძღვანელოს მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას, შეურჩიოს და დაავალოს მათ სათანადო რუსული თხზულებების წაკითხვა და შეამოწმოს თუ რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხულის შინაარსი, გააძლიეროს რუსული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი წრის მუშაობა, დაავალოს მოსწავლეებს მოხსენება-რეფერატების მომზადება და პირადად უხელმძღვანელოს მათ ამ საქმეში. უფრო მტკიცედ მოითხოვოს მოსწავლეებისაგან საშინაო დავალების შესრულება; რუსული ენის სწავლებისა და მოსწავლეთა წარმატების საკითხი გახადოს პედაგოგიური საბჭოს სხდომის მსჯელობის საგნად და მიაღწიოს მოსწავლეთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალის საფუძვლიანად შეთვისებას;

შეუბნის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა ვ. იაშვილმა მიიღოს სათანადო ზომები მერვე კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრებასა და რუსული ენის გრამატიკის პროგრამით გათვალისწინებული მასალის მოსწავლეთა

მიერ შეგნებულად შეთვისებას; სისტემატური ხასიათი მისცეს მოსწავლეთა მუშაობას გრამატიკულ სავარჯიშოებზე და მეთოდურად სწორად აწარმოოს ლიტერატურული კითხვის გაკვეთილი და ახსნითი კითხვა;

ვ) ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა სისტემატური ხასიათი მისცენ ბუნების მოვლენებზე დაკვირვებების წარმოებას, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობისა და სასწავლო ექსკურსიების ჩატარებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნის ისე სწავლებას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეგნებულად შეთვისება და ბუნების მოვლენათა მატერიალობისა და კანონზომიერებათა სწორად შეცნობა; ბოტანიკასა და ზოოლოგიის კურსის გავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ორგანიზმებისა და გარემობუნების ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთზე გავლენის ორგანიზმთა საცხოვრებელ ბუნებასთან შემგუებლობასა და შეგუების შეფარდებით ხასიათს; მკაფიოდ გააგებინონ მოსწავლეებს მოწინავე მეცნიერებაზე დაყრდნობით ადამიანის მიერ ორგანიზმთა ფორმირებაში მოპოებული მიღწევები. საფუძველი ჩაუყარონ მოსწავლეებში ბუნების შესახებ მეცნიერულ მატერიალისტურ დიალექტიკური სოფლმხედველობის გამომუშავებას. გეგმიანად გააცნონ მოსწავლეებს ჩვენი დიადი სამშობლოს ფლორისა და ფაუნის სიმდიდრე და მისი მნიშვნელობა სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, კონკრეტი მაგალითებით ნათელჰყონ მოსწავლეთათვის ის დიდი მიღწევები, რაც საბჭოთა მეცნიერების მიერ მოპოებულია სოციალისტური მეცხოველეობისა და მემცენარეობის დარგში და აღზარდონ მათში სოციალისტურ სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული.

ზ) გეოგრაფიის მასწავლებლებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ რუკის კითხვის ტექნიკის დაუფლებას, გეოგრაფიული სახელების შეგნებულად შეთვისებას და გეოგრაფიული მასალის დალაგებული თხრობის ჩვევების გამომუშავებას.

## IV. კლასის ხელმძღვანელებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის აგეგმვა აღრიცხვის საქმე. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმის შედგენისას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ისეთ ღონისძიებათა დასახვას, რაც შეესატყვისება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას და კლასის სპეციფიკურ პირობებს.

ბ) გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხარისხი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა კლას-

გარეშე კითხვას, პირადად შეამოწმონ თუ რა შინაარსისა და სიძნელის წიგნებს კითხულობენ მოსწავლეები და გამოარკვიონ ის, თუ რამდენად სწორად იგებენ ისინი თხზულების შინაარსს; მისცენ მოსწავლეებს საჭირო რჩევა-დარიგება წიგნზე მუშაობის შესახებ, შეაჩვიონ ისინი ციტირებასა და კონსპექტირებას, გამოიმუშაონ მათში ნაწარმოების ძირითადი მოტივის შეცნობის უნარი, მონაწილეობა მიიღონ სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობაში, დაესწრონ მკითხველთა თათბირებს და ხელი შეუწყონ სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებას. პერიოდულად შეამოწმონ მოსწავლეთა მუშაობა საგნობრივ წრეებში და წრის ხელმძღვანელთან ერთად დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

გ) გააძლიერონ მშობელთა შორის მუშაობა, გეგმიანად ჩაატარონ მათთან საუბრები და მოხსენებები ბავშვთა აღზრდის საკითხებზე.

დ) გამოავლინონ აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები, შეისწავლონ მათი ჩამორჩენილობის მიზეზები, მოიწვიონ კლასის მასწავლებელთა თათბირები და მათთან ერთად დასახონ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებანი;

ე) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მოსწავლეების მიერ ქცევის წესების შესრულებაზე, სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიონ მოსწავლეთა მიერ მასწავლებელთა საშინაო დავალების შესრულებას და მათში შრომითი ჩვევების გამომუშავებას; მიზანშეწონილად გამოიყენონ მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებანი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გამოტოვებისა და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევათა მიზეზების შესწავლასა და ისეთი ღონისძიებების დასახვასა და გატარებას, რაც უზრუნველჰყოფს გაკვეთილის გამოტოვებისა და გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევების აღმოფხვრას.

ეს მითითებები განხილულ იქნას რაიონის სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებანი.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უ. ოზოლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორების. ე. ინგოროყვას, ბ. ბათიაშვილისა და მ. დათიაშვილის მიერ წარმოდგენილი გამოკვლევის მასალებით დადასტურდა, რომ ამბროლაურის რაიონის, ამბროლაურის, სადმელის, ბუგეულის, ჭრებალოს საშუალო და ხვანჭკარის დაწყებით სკოლებში რამდენადმე გაუმჯობესდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: ქართული ენისა და ლიტერატურისა: ქ. გიორგობიანი (ბუგეულის საშუალო სკოლა), ჟ. ფრუიძე (ჭრებალოს საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურისა: ვ. დავითულიანი, ცხვედიანი (ჭრებალოს საშუალო სკოლა), მ. როსტომოვა (ამბროლაურის საშუალო სკოლა); სამოქალაქო ისტორიისა: წვერავა (ბუგეულის საშუალო სკოლა); ბუნებისმეტყველებისა: ქ. მაქარაშვილი, ო. მუსერიძე (სადმელის საშუალო სკოლა), გ. სოხაძე (ბუგეულის საშუალო სკოლა); ქიმიისა: ვ. კიკვიძე (ჭრებალოს საშუალო სკოლა); გეოგრაფიისა ი. მიქაუტაძე (სადმელის საშუალო სკოლა); თ. კახეთელიძე (ხვანჭკარის დაწყებითი სკოლა) და სხვა.

დასახელებული მასწავლებლები საფუძვლიანად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ახალი მასალის გავლას კარგად უკავშირებენ განვლილის განმეორებას, სასწავლო მასალას მიზანშეწონილად იყენებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, ჯეროვან ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონის ამაღლებას, სწავლებაში სწორად იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეთა ცოდნას ამოწმებენ და აფასებენ სწორად და აღწევენ მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეგნებულად და საფუძვლიანად შეთვისებას.

ამბროლაურის რაიონის სკოლებში, ამასთანავე მრავალ ნაკლოვანებას აქვს ადგილი.

ა) სასკოლო შენობებს დიდი რაოდენობით აკლია მინები. სკოლებში არ არის მოზიდული ზამთრის სეზონისათვის საჭირო სათბობი.

ბ) განათლების განყოფილებაში და სკოლებში მოუგვარებელია ახლად მიღებული სახელმძღვანელოების განაწილების საქმე. სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო წიგნებით, ამბროლაურის რაიკავშირის მაღაზიაში კი საკმაო რაოდენობით არის ჩაწოლილი ქიმიის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და სხვა საგნების სახელმძღვანელოები;

გ) მეთოდური მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. V—XI კლასების მასწავლებელთა საგნობრივი და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა საკლასო კომისიები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. სადმელისა და ამბროლაურის საშუალო სკოლებში არ არის ჩამოყალიბებული ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისია;

დ) წლიური კალენდარული გეგმები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ქიმიასა, ბუნებისმეტყველებასა და სამოქალაქო ისტორიაში არ არის სწორად შედგენილი. დაწყებითი კლასების ქართული ენის წლიურ კალენდარულ გეგმებში არ არის ნაჩვენები გრამატიკის მასალა. საბუნებისმეტყველო დისციპლინების წლიურ კალენდარულ გეგმებში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობა და სასწავლო ხასიათის ექსკურსიები;

ე) გაკვეთილების ცხრილი არ არის შედგენილი სწორად. ისეთი საგნები, რომელთაც სასწავლო გეგმით კვირაში ორი—სამი საათი აქვს დათმობილი, ზედიზედ არის შეტანილი ცხრილში. ჭრებალოს საშუალო სკოლის გაკვეთილების ცხრილით IV კლასში გათვალისწინებულია რუსული ლიტერატურა, ამავე კლასში გაკვეთილების ცხრილში ცალკეა გამოყოფილი ქართული წერა; არ არის გათვალისწინებული ცალცალკე ბიოლოგიური დისციპლინები (ბოტანიკა, ზოოლოგია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია და დარვინიზმის საფუძვლები), მათ ნაცვლად ცხრილში ნაჩვენებია „ბუნება“;

ვ) საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია უმთავრესად ისეთი ხასიათის საკითხები, რაც ძირითადად კლასში, გაკვეთილებზე უნდა იქნეს დამუშავებული და შესწავლილი ჭრებალოს საშუალო სკოლის ლიტერატურული წრის გეგმაში გათვალისწინებულია პროგრამაში მოცემულ თხზულებათა გმირების დახასიათება და შინაარსის გადმოცემა. ასეთივე წესით არის შედგენილი ბუნებისმეტყველების, ქიმიისა და სამოქალაქო ისტორიის წრეების სამუშაო გეგმები;

ზ) კლასგარეშე კითხვის საქმეს არა აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება. არ არის შედგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, არ არის დაწესებული წიგნების გაცემის დღეები და საათები, მკითხველთა რაოდენობა მცირეა; სადმელის საშუალო სკოლის 244 მოსწავლიდან ბიბლიოთეკის წიგნებით მხოლოდ 45 მოსწავლე სარგებლობს, ჭრებალოს საშუალო სკოლის IX კლასის 33 მოსწავლიდან —სამი მოსწავლე;

თ) მოსწავლეთა შორის სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვას არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. ამბროლაურის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ერთი ნაწილი სკოლაში ცხადდება არაფაქიზად ჩაცმულ-დახურული, თმებდაუვარცხნელი და ხელპირ დაუბანელი.

ზოგ სკოლაში ცალკე საგნების სწავლება დაბალ დონეზე დგას. ასე, მაგალითად, ბუგეულის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ქ. ავალიანი და ნ. წერეთელი სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილისათვის, სასწავლო მასალას ვერ იყენებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, ვერ ნერგავენ მოსწავლეებში წიგნზე მუშაობის ჩვევებს და ვერ აიარაღებენ მათ მშობლიური ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნით. ამ სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი წერეთელი) ცუდად იცოდნენ გაკვეთილი, არ იცოდნენ ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები; ზოგმა მოსწავლემ უხეშად დაამახინჯა ფაქტები. „ბარათაშვილი 1883 წელს წავიდა განჯაშიო", „ბარათაშვილი მაზრის მოადგილედ მსახურობდა" და სხვა—ზოგ მოსწავლეს განჯა „განჯინად" აქვს წარმოდგენილი. დაბალია ამ კლასის მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონეც. მასწავლებელი ზერელედ ეკიდება მოსწავლეთა წერით ნაშრომების გასწორებას და შეფასებას. იგი წერითი ნამუშავარზე ხშირად დაუმუშავებელსა და შეუფერებელ რეცენზიას იძლევა. მაგ „წერის დროს ბგერები მოათავე", „ლ ფეხს არ უკეთებთ", „კარგად უნდა დაჰკვირებოდე და ისე უნდა დაგეწეროს კომუნისტური პარტია როდის შეიქმნა". ან კიდევ: „ძლიერ მოკლედ არის დაწერილი, აგრეთვე თითქოს თვით შემოქმედება კი არ ჩანს გეგონებათ პირადათ მას ესაუბრება" და სხვა. ამ კლასის ქართული ენის წლიურ კალენდარულ გეგმაში მასწავლებელს სასწავლო წლის III და IV მეოთხედში მორფოლოგიის განმეორება აქვს გათვალისწინებული, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი მასალა—რთული წინადადების გავლა I და II მეოთხედებში აქვს ნავარაუდევი.

ოვნული ბიბლიოთეკა

V, VI და VII კლასების ქართული ენის მასწავლებელ ქ. ავალიანს დაუდევრად აქვს შედგენილი საგნის წლიური კალენდარული გეგმა, მას VI კლასის გეგმაში არა აქვს შეტანილი ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული მასალა: ფუძე, თემის ნიშნები და სახელზმნა. VII კლასში სასწავლო წლის II მეოთხედში გეგმით მხოლოდ დამატება აქვს გათვალისწინებული, რაც 10 საათის მასალას შეადგენს.

ჭრებალოს საშუალო სკოლაში წერის საქმეს არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება (მასწავლებელი გ. ჭელიძე). სასწავლო წლის დასაწყისიდან 17 ოქტომბრამდე VII კლასში წერითი სამუშაო მხოლოდ ერთხელ არის ჩატარებული, ეს იმ დროს, როდესაც ამ კლასის 12 მოსწავლიდან 6 მოსწავლე და XI კლასის 32 მოსწავლიდანაც 6 მოსწავლე წერაში ცუდ წარმატებას იჩენენ.

ამბროლაურის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში ყურადღება არ ექცევა სუფთა წერის საქმეს. II და III კლასის მასწავლებლები ე. ვაჩაძე და ქ. ჭიჭინაძე არ იცნობენ დაწყებითი სკოლის პროგრამაში მოცემულ განმარტებით ბარათს სუფთა წერის შესახებ და სუფთა წერის დედანს.

ბუგეულის სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შ. გოცირიძე, მიუხედავად იმისა, რომ ოცი წელია ასწავლის რუსულ ენას, არ ფლობს რუსულ ენას და არ იცნობს საგნის სწავლების მეთოდიკას. მის მიერ შედგენილ საგნის წლიურ კალენდარულ გეგმაში დაშვებულია უხეში შეცდომები. მასწავლებელი გოცირიძე არ იცავს წერითი მუშაობის სახეებსა და ნორმებს, V კლასში მხოლოდ წიგნიდან გადმოწერას აწარმოებს. მის მიერ გასწორებულ წერით ნამუშევრებში გაუსწორებლად დატოვებულია 8-10 შეცდომა.

სადმელის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა რუსული ენის პროგრამებით გათვალისწინებული მასალის უცოდინარობა გამოამჟღავნეს (მასწ. ბაკურაძე) გაკვეთილის მასალიდან „Недоросль“ Фонвизина მოსწავლეებს გაუაზრებლად აქვთ გაზეპირებული შემდეგი: „Лучшим художественным произведением Фонвизина считается комедия „Недоросль“ Злонравные люди складывается под влиянием условий. Они с детства привыкают угнетать люди“.

კომედიის შინაარსი ცუდად იციან. წარმოდგენა არა აქვთ იმდროინდელ სწავლა-განათლებაზე. მიტროფანუშკას მაგალითზე ვერ აღწერეს, თუ როგორ უცქეროდნენ სწავლა-განათლებას გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. მოსწავლეთა ლექსიკონი მეტად

ლარიბია, კითხვის ტექნიკა დაბალი, განუვითარებელი. ცალკე სიტყვებისა და გამოთქმების არსი მოსწავლეებს არ ესმით.

რუსული ენის სწავლება სუსტადაა დაყენებული აგრეთვე მრავაბალოს საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში.

სამოქალაქო ისტორიის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სადმელის საშუალო სკოლის V—VII კლასებში (მასწავლებელი ნ. კევლიშვილი). ამ სკოლის V კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია, მათ არა აქვთ გამომუშავებული ისტორიული მასალის დალაგებით გადმოცემის ჩვევები, მოსწავლეთა უმრავლესობამ ვერ აღწერა ძველი ეგვიპტის ბუნება, ისინი ვერ ერკვევიან ტომების გაერთიანების საკითხში, არა აქვთ ნათელი წარმოდგენა ძველი ეგვიპტის კულტურაზე, ჰამურაბის კანონებზე და სხვ. მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ერკვევა ისტორიულ ტერმინებში და არადამაკმაყოფილებლად იცის ქრონოლოგია. ამავე სკოლის არც მე-7 კლასის მოსწავლეებს ეხერხებათ მასალის თანამიმდევრული და დალაგებით გადმოცემა. ისინი ვერ განმარტავენ ტერმინებს: ფეოდალი, ვასალი, სენიორი და სხვ. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის ჯვაროსანთა ლაშქრობის გამომწვევი მიზეზები, წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ როგორ დასრულდა ეს ლაშქრობა. მოსწავლენი ვერ ერკვევიან აგრეთვე ქალაქების ზრდის მიზეზებში XI— XII საუკუნეებში და სხვ.

ხვანჭკარის დაწყებითი სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან განვლილი მასალა ბუნებისმეტყველებაში (მასწავლებელი ა. ჭელიძე). სწავლებაში არ არის დანერგილი თვალსაჩინოება და გამეფებულია ზეპირობა. მაგალითად, ნიადაგის შედგენილობასა და სახეებს მოსწავლეები გადმოსცემენ ზეპირად, მაგრამ არ არიან გარკვეული იმაში, თუ როგორ წარმოიშვა მპალა და რაზე არის დამოკიდებული ნიადაგის ნოყიერება, არ არიან გარკვეული თიხნარი და სილნარი ნიადაგის თვისებებში. ასევე არადამაკმაყოფილებლად იციან მათ თემა „წყალი“, ერთი მეორეში ურევენ წყლის მექანიკური ნარევიდან გაწმენდასა და გაფილტვრას; არასწორი წარმოდგენა აქვთ ატმოსფერულ ნალექებზე, წყლის თვისებათა თავისებურებაზე, ამ კლასის მოსწავლეებმა ვერ შესძლეს თერმომეტრის აღწერა და მასწავლებლის დაუხმარებლად ვერ განმარტეს, თუ როგორ გამოიყენება თერმომეტრი.

ახალი მასალის: „ჰაერი, ჰაერს ადგილი უჭირავს, ჰაერს წონა აქვს,“ მასწავლებელი შეეცადა ეჩვენებინა ბავშვებისათვის ცდა, მაგრამ წინასწარ მოუმზადებლობის გამო ცდა არ იყო ჩატარებული დამაჯერებლად. საკითხი ჰაერის წონის შესახებ გაურკვეველი დარჩა. ახალი მასალის შეთვისებაზე განმამტკიცებელი მუშაობა მკრთალად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩატარდა. მასწავლებელი არ არის დაუფლებული ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდებს. მას არ ეხერხება ცდების ჩატარება და საშინაო დავალების სწორად მიცემა.

ანალოგიური მდგომარეობაა ამბროლაურის საშუალო სკოლის IV კლასშიაც (მასწავლებელი გ.სვანიძე). ამ კლასის მოსწავლეები არ არიან გარკვეული წყლის თვისებებში და ამ თვისების პრაქტიკულად გამოყენების საკითხებში. არ იციან, თუ წყალსადენის მილს რათ ათავსებენ მიწაში ღრმად.

დასახელებულ კლასებში ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული მასალის შეგნებულად შეთვისებას, ბუნების მოვლენათა მარტივ-კანონზომიერებათა სწორად გაგებასა და სასწავლო მასალის ისე სწავლებას, რომ ის ხელს უწყობდეს მოსწავლეებში დამკვირებლობის უნარის განვითარებას, ბუნებისადმი სიყვარულის დანერგვას, პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას.

რაიონის შესწავლილი სკოლების I, II და III კლასებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საბუნებისმეტყველო მასალის სწავლება. დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უმრავლესობა არ არის გარკვეული ახსნითი კითხვისა და ბუნებისმეტყველებაში საგნობრივი გაკვეთილების ჩატარების საკითხში. სკოლის დირექტორები (გამგეები) და სასწავლო ნაწილის გამგეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშაობის ამ მნიშვნელოვან მომენტს.

V — IX კლასების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ბიოლოგიური დისციპლინების სწავლებისას არასაკმაოდ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებენ ექსკურსიებს ბუნებაში და კოლექტიურ მეურნეობებში. სკოლებში არ არის მოწყობილი სასწავლო მიწის ნაკვეთი და ბუნების ცოცხალი კუთხე. არა საკმაო რაოდენობით ტარდება ცდები, დაკვირვებები და პრაქტიკულ ლაბორატორიული მუშაობა, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე. ბუგეულის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები არ არიან გარკვეული ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებში (მასწავლებელი შ. ქელიძე), საშინაო დავალება მათ არადამაკმაყოფილებლად ჰქონდათ შესრულებული. მოსწავლეებმა ვერ განმარტეს, თუ რას ეწოდება დინამიკური და სტატიკური მოძრაობა, ვერ დაასახელეს კუნთის ძირითადი თვისებები, ვერ ახსნეს თუ რას ეწოდება კუნთის ტიტანური შეკუმშვა და სხვა. ერთ ერთმა მოსწავლემ უჯრედის აღმოჩენის თარიღად 1884 წელი დაასახელა. ამ შეცდომის გასწორება ვერც სხვა მოსწავლეებმა შეძლეს. მოსწავლეთა უმრავლესობას არა აქვს ნათელი წარმოდგენა უჯრედებზე,

მის ნაწილებზე, ორგანიზმის უჯრედოვან აღნაგობაზე, ცხოველურ ქსოვილებზე და სხვ. გამოძახებულ 5 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ გააშუქა პროტოპლაზმისა და ფიზიოლოგიის საგანი, მათი შესწავლის მნიშვნელობა ადამიანისათვის და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიაში განვლილი მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ბუგეულის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი გ. სოხაძე). წინა გაკვეთილის მასალა „საქართველოს სსრ-ის წიაღისეული სიმდიდრენი, ჭიათურის მარგანეცი" მათ სუსტად იცოდნენ, — ვერ სთქვეს, თუ რა გამოყენება აქვს მარგანეცის მნიშვნელობას, ვერ აღწერეს ჭიათურის გეოგრაფიული მდებარეობა, ვერ დაასახელეს, თუ სად არის აგებული ფეროშენადნობის ქარხანა, რუკაზე ვერ აჩვენეს, თუ როგორ შეიძლება ამბროლაურიდან ჭიათურაში მისვლა და სხვა. განვლილ მასალიდან მოსწავლეებმა რუკაზე ვერ აჩვენეს საქართველოს სსრ-ის საზღვრები, მათ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ რელიეფზე საერთოდ და კერძოდ, საქართველოს რელიეფზე. ასევე, მათ ვერ დაასახელეს ნავთობის და ქვანახშირის საბადოები საქართველოს სსრ-ში. გარკვევით ჩანს, რომ რუკის კითხვას არა აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება. ამბროლაურის რაიონის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი.

## I. განათლების განყოფილებამ პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად:

ა) უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყოს სკოლების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნა; მიიღოს გადამჭრელი ზომები სათბობი მასალის მოსაზიდად და ფანჯრის მინების ჩასასმელად;

ბ) 5 დღის ვადაში მოაწესრიგოს სახელმძღვანელო წიგნებისა და სასწავლო ნივთების განაწილებისა და მოსწავლეებამდე დაყვანის საქმე; შეამოწმოს სავაჭრო წერტში გაუსაღებელი სახელმძღვანელო წიგნების რაოდენობა და გადაანაწილოს ის სკოლებზე. მომავალში სისტემატური კონტროლი დააწესოს სახელმძღვანელო წიგნებისა და სასწავლო ნივთების მოსწავლეებამდე დროულად დაყვანის საქმეზე და არ დაუშვას წიგნების სავაჭრო წერტებში ჩაწოლა;

გ) 10 დღის ვადაში შეამოწმოს რაიონის სკოლებში მეთოდური მუშაობის მდგომარეობა და უზრუნველჰყოს საგნობრივ-მეთოდური კომისიებისა და დაწყებითი კლასების საკლასო კომისიის ჩამოყალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზება; ყველა ცენტრალურ სკოლასთან ჩამოაყალიბოს საუბნო მეთო- დური გაერთიანებები და გაუწიოს მას კონკრეტული ხელმძღვანელობა. გადაჭრით გააუმჯობესოს პედაგოგიური კაბინეტის სექციების მუშაობა და გახადოს ისინი მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელ რგოლებად; გეგმიანად ჩაატაროს სექციური მუშაობა და ცალკე საგნების მასწავ- ლებლებს აღმოუჩინოს საჭირო მეთოდური დახმარება; პერიოდულად შეამოწმოს რაიონის სკოლებში ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და დასახოს სწავლების ხარისხის გაუმჯო- ბესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

დ) უმოკლეს ვადაში შეამოწმოს სკოლებში სასწავლო-საალმ- ზრდელო მუშაობის გეგმები, განსაკუთრებით სასწავლო დისციპლი- ნების წლიური კალენდარული გეგმები და უზრუნველყოს მათი საქარ- თველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამების შესაბამისობა, ცალკე უბნების მიხედვით ჩაატაროს სკოლის დირექტორების, სას- წავლო ნაწილის გამგეების და კლასის ხელმძღვანელთა თათბირი; განიხილოს კლასის ხელმძღვანელის საალმზრდელო მუშაობის საკითხი და დასახოს ისეთი ღონისძიებანი, რაც ნამდვილად უზრუნველჰყოფს კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას;

ე) შეამოწმოს სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარე- ობა და უზრუნველჰყოს მოსწავლეებში სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარება.

## II. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ მასწავლებლის მუშაობაზე ხელ- მძღვანელობისა და კონტროლის გაწევის საქმე; პირადად შეამოწმონ ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და მოს- წავლეთა აკადემიური წარმატების დონე. გაკვეთილებზე დასწრებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებლის გაკვეთილისა- თვის მზადყოფნას, პროგრამებით გათვალისწინებული მასალის თანმიმ- დევრობით გავლას, სწავლებაში შეგნებულობის პრინციპის გატარე- ბას, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალის მიზანშეწონილად გამოყენე- ბას, სასწავლო მასალის ახსნა-დამუშავების ხარისხს, ახალი მასალის განვლილ მასალასთან დაკავშირებას, განვლილი მასალის განმეორების მიმდინარეობას, სწავლების პროცესში მოსწავლეთა იდეურ-პოლი- ტიკური აღზრდის პრინციპის გატარებას, მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შესრულების ხარისხისა და მასწავლებლის მიერ მოსწავ- ლეთა ცოდნის შემოწმებასა და შეფასებას. მოსმენილი გაკვეთი-

ლების შედეგები განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და
დასახონ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონის-
ძიებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ყოველ სასწავლო მეოთხედში პედაგოგიურ საბჭოს სხდო-
მაზე განიხილონ კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-საალმზრდელო
მუშაობის მიმდინარეობის საკითხი და დასახონ საჭირო ღონისძიე-
ბანი;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლაში V—XI კლასის მასწავ-
ლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიებისა და დაწყებითი
კლასების მასწავლებელთა საკლასო კომისიების მუშაობა. სკოლაში
მეთოდური მუშაობის საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ „სკო-
ლაში მეთოდური მუშაობის დებულებით“ (იხ. „მეთოდური კრე-
ბული საშუალო სკოლის მუშაკთათვის“ გვ. 76—79);

დ) პირადად უხელმძღვანელონ სასწავლო-საალმზრდელო მუშა-
ობის აგეგმვას. პერიოდულად შეამოწმონ ცალკე გეგმების შესრუ-
ლების მიმდინარეობა, საკითხი განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს
სხდომაზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი; ამ საქმეში იხელ-
მძღვანელონ ინსტრუქციით „სასკოლო მუშაობის აგეგმვის შესახებ“
(იხ. მეთოდური კრებული საშუალო სკოლის მუშაკთათვის, გვ.
62—76);

ე) სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ
საგნობრივი წრეების მუშაობას იმ მიმართულებით, რომ საგნობრივი
წრეების მუშაობა ხელს უწყობდეს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამა-
ღლებასა, საერთო განვითარების ჰორიზონტის გაფართოებასა და
მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის
საქმე, სასკოლო ბიბლიოთეკები უმოკლეს ვადაში მოიყვანონ სრულ
წესრიგში, მიიღონ სათანადო ზომები სასკოლო ბიბლიოთეკების
წიგნადი ფონდის გამდიდრებისა და არსებული ფონდის მოვლა-პა-
ტრონობისა და მიზანშეწონილად გამოყენების უზრუნველსაყოფად;
პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის მდგომარე-
ობა, საკითხი განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასა-
ხონ სათანადო ღონისძიებანი.

მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის უკეთ დაყენების მიზნით
იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისა-
რიატის 1939 წლის 10 ოქტომბრისა და 1945 წლის 13 მარტის
ბრძანებებით (იხ. მეთოდური კრებული საშუალო სკოლის მუშაკ-
თათვის გვ. 118—121 და 161—164);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) განსაკუთრებული ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობის საქმეს. პირადად შეამოწმონ მოსწავლეთა წერითი ნაშრომების ხარისხი, წერითი სამუშაოების სახეებისა და ნორმების დაცვის მდგომარეობა, გასწორებისა და შეფასების სისწორე, საკითხი მოისმინონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახონ ღონისძიებანი, რომელიც ნამდვილად უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა მეტყველების კულტურის დონის ამაღლებას. მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის წარმოებულ მუშაობაში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1941 წლის 1 აპრილის დადგენილობით (იხ. მეთოდური კრებული გვ. 133—138);

თ) ყოველდღიური კონტროლი დააწესონ სკოლაში სანიტარული რეჟიმის დაცვაზე და მოსწავლეებში პირადი ჰიგიენის ჩვევების გამომუშავებაზე. კლასის ხელმძღვანელთა მეშვეობით გეგმიანად ჩაატარონ მოსწავლეთა სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმება. სკოლის ექიმის მეშვეობით ჩაატარონ მოსწავლეებში და მოსწავლეთა მშობლებში მოხსენებები და საუბრები სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მნიშვნელობაზე. მეოთხედში ერთხელ მოისმინონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საკითხი სკოლაში სანიტარული რეჟიმის დაცვისა და მოსწავლეებში პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვის შესახებ და დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

ი) სკოლაში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილებები, ბრძანებები, განკარგულებანი და მითითებანი დაუყოვნებლივ გააცნონ მასწავლებლებს და დასახონ მათი ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

### III. ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

1. **ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დარგში.** გადაჭრით გააუმჯობესონ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე. დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში სწორი, გამომეტყველებითი და შეგნებული კითხვის ჩვევების გამომუშავებას. მშობლიური ენის გრამატიკის სწავლება I—VIII კლასებში წარმართონ პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად. ენის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ ლიტერატურული მასალის სწავლებას. სავარჯიშოები მშობლიური ენის გრამატიკაში შეარჩიონ სათანადო ლიტერატურულ მასალიდან (მოთხრობებიდან, იგავ-არაკებიდან და ლექსებიდან). მოსწავლეთა მიერ გრამატიკის პროგრამით გათვალისწინებულ მასალაზე დამო-

უკიდებელ მუშაობას მისცენ სისტემატური და გეგმიანი ხასიათი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გრამატიკის მასალისა და გრამატიკის წესების მოსწავლეთა მიერ შეგნებულად შეთვისებას. ყოველი თემის დამუშავებისას ჩაატარონ საკონტროლო წერითი სამუშაო და შეამოწმონ მოსწავლეთა ცოდნა და უნარი გრამატიკის წესების პრაქტიკაში გამოყენების საქმეში. დაწყებით კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახსნითი კითხვის მეთოდურად სწორად წარმოებას. V—VIII კლასებში ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე მთავარი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ ლიტერატურული მასალის შეგნებულად შეთვისებას, შინაარსის სწორად გაგებას, ლიტერატურული ნიმუშების ძირითადი მოტივების შეცნობასა და გააზრებას, გმირთა დახასიათებას, ავტორის დამოკიდებულებას გმირებისადმი; თხზულებაში მოცემულ გმირთა ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის მიზეზების მართებულად გაშუქებას. შეაჩვიონ მოსწავლეები ლიტერატურულ ნაწარმოებში მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევას, ციტირებას, კონსპექტის შედგენასა და დასათაურებას. IX—XI კლასებში ლიტერატურული მასალის გავლით მთავარი ყურადღება მიაქციონ მასალის ისტორიული თანამიმდევრობით შესწავლას, ვარჯიშსა და ისტორიულ ვითარების სწორად გაგებას, მწერლის მსოფლმხედველობის მართებულად გაშუქებას, ნაწარმოების მხატვრული და იდეური მხარეების და ძირითადი მოტივების ისე გაშუქებას, რომ ის ხელს უწყობდეს მოსწავლეების მიერ მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო როლის შეგნებულად შეთვისებას და ზრდიდეს მოსწავლეებში ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურისადმი სიყვარულს, აღვივებდეს მათში პატრიოტულ გრძნობას და სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვა-მოღვაწეობის შეგნებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მეტყველების კულტურის დონის ამაღლებას, პირადი მაგალითებით დანერგონ მოსწავლეებში სწორი, ზეპირი და წერითი მეტყველების ჩვევები.

დაწყებით კლასებში სისტემატური ხასიათი მისცენ წერით მუშაობას, ხოლო V—XI კლასებში დაიცვან წერითი სამუშაოების ნორმები და სახეები. მოსწავლეთა წერითი ნაშრომები გაასწორონ გულდასმით და შეაფასონ ობიექტურად. მოსწავლეთა საშინაო რვეულები შეამოწმონ და გაასწორონ პერიოდულად. დანერგონ წერით ნაშრომებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე მუშაობის პრაქტიკა.

ჭრებალოს, სადმელისა და ბუგეულის საშუალო სკოლების V—VIII კლასების მასწავლებლებმა გ. ჭელიძემ, ქ. დალაქიშვილმა და

ნ. წერეთელმა სამი დღის ვადაში გადაამუშაონ საგნის წლიური /კალენდარული გეგმები ოფიციალური პროგრამის განმარტებითი ბარათის შესაბამისად (ნაწარმოებთა შესწავლა იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს ქრესტომათიაშია მოცემული), მიიღონ სათანადო ზომები მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის, ზუსტად დაიცვან წერითი სამუშაოების სახეები და ნორმები და გასწორების წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბროლაურის საშუალო სკოლის I, II და III კლასების მასწავლებლებმა ვ. ვაჩაძემ და ქ. ჭიჭინაძემ საფუძვლიანად შეისწავლონ სუფთა წერის პროგრამის განმარტებითი ბარათი და ქართული წერის დედანი და სუფთა წერის გაკვეთილები ჩაატარონ პროგრამაში გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

2. რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების დარგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამებით გათვალისწინებული მასალის შეგნებულად შეთვისებას, მოსწავლეთა ლექსიკონის გამდიდრებას, რუსული სიტყვებისა და რბილი ნიშნის მნიშვნელობის სწორად გაგებასა და გამოყენებას და ახსნითი კითხვის მეთოდურად სწორად წარმოებას, რუსული ლიტერატურის ნიმუშების შესწავლისას სათანადო ყურადღება მიაქციონ რუსული ხატოვანი გამოთქმების თავისებურებას და რუსული ენის სიმდიდრეს; შეაჩვიონ მოსწავლეები რუსული მხატვრული ნაწარმოებების ტექსტის მხატვრულ კითხვას; თვით მისცენ მოსწავლეებს მხატვრული კითხვის ნიმუშები, დაავალონ მოსწავლეებს მხატვრული და ხატოვანი ადგილების ზეპირად დასწავლა, მხოლოდ მხედველობიდან არ გაუშვან ამ ადგილების შეგნებული ათვისების საკითხი.

რუსული ლიტერატურის ნიმუშების სწორად შესწავლით ნათელი გახადონ მოსწავლეთათვის რუსული ლიტერატურის სიმდიდრე და რუსი მწერლების მაღალი ოსტატობა; შეაყვარონ მათ დიდი ოქტომბრის ენა და მისი მდიდარი ლიტერატურა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერით მუშაობას; მოსწავლეთა სისტემატური ვარჯიშით მიაღწიონ კალიგრაფიულად სწორ დაწერილობას და გრამატიკულად გამართული წერის ჩვევების გამომუშავებას.

3. სამოქალაქო ისტორიის სწავლების დარგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში ისტორიული მასალის თანამიმდევრული და დალაგებული თხრობით გადმოცემის უნარის გამომუშავებას, ისტორიული სახელებისა და ტერმინების სწორად შეთვისებას, ქრონოლოგიის ცოდნას, ისტორიული მოვლენების წარმოშობა-განვითარებისა და შედეგების მიზეზების

მართებულად გაგება-გააზრებას, ისტორიულ პირთა როლის შეცნობას და ისტორიის პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის ისე დამუშავებას, რომ მან მოსწავლეებში მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების მეცნიერულ შეცნობას. ისტორიის გაკვეთილზე აუცილებლად გამოიყენონ თვალსაჩინოება: ისტორიული რუკები, პლაკატები, სურათები, საპროექციო ფანარით დიაპოზიტივების ჩვენება და, სადაც ეს შესაძლებელია, დაასწრონ მოსწავლეები შესაფერის კინო-ფილმებს, ჩაატარონ ექსკურსიები, შეაჩვიონ მოსწავლეები ისტორიული ხასიათის დამხმარე ლიტერატურაზე მუშაობას, გამოიმუშაონ და აღზარდონ მათში ისტორიულ მოვლენათა განზოგადოების უნარი და ჩვენი დიდი სამშობლოს გმირული ისტორიული წარსულის სწორად სწავლებით უზრუნველჰყონ მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდა, შეაყვარონ მათ სოციალისტური სამშობლო და აღზარდონ მათში სოციალისტური სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული და მისი კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ბრძოლის უნარი.

4. ბუნებისმეტყველების სწავლების დარგში:
ა) IV კლასში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბუნებისმეტყველო მასალის დამუშავებისას თვალსაჩინოების გამოყენებას. (ობიექტების დემონსტრირება, ცდების ჩატარება, ექსკურსიების მოწყობა და სხვ.). I, II, III და IV კლასებში სისტემატური ხასიათი მისცენ ბუნებისა და ამინდის კალენდარის წარმოებას და შეაჩვიონ მოსწავლეები ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას და შედეგების ფიქსირებას;

ბ) V, VI და VII კლასებში ბოტანიკისა და ზოოლოგიის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ უჯრედის ცნების, უჯრედის ნაწილების, მცენარეთა და ცხოველთა ორგანოების და მათი ფუნქციებისა და ორგანიზმების და გარემო ბუნების ურთიერთკავშირსა და ურთიერთზეგავლენას. გეგმიანად ჩაატარონ ექსკურსიები (ბუნებაში, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობაში, ფერმებში, ზოოპარკში, საცდელ სადგურებში); შეაჩვიონ მოსწავლეები ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას და ჰერბარიუმისა და კოლექციების შედგენას;

ვ) VIII კლასში ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადამიანის ორგანიზმის ორგანოებისა, მათი ფუნქციების სწორად შეცნობას და ფიზიოლოგიური მოვლენების მატერიალობის შეგნებულად შეთვი-

სებას, ნათელი გახადონ მოსწავლეთათვის სხეულის აგებულებისა და ფიზიოლოგიური მოვლენების ურთიერთ-კავშირი და ურთიერთზე გავლენა; ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებას. გადაჭრით გააუმჯობესონ დარვინიზმის საფუძვლების სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა მიერ დარვინის მოძღვრების ძირითადი საფუძვლების სწორად გაგებისა და შეთვისების საქმე. მარტივად, მაგრამ შეგნებულად შეასწავლონ მოსწავლეებს ორგანიზმთა განვითარების კანონზომიერებანი და განვითარების ფაქტორები; ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ორგანიზმებისა და გარემოპირობების ურთიერთ-დამოკიდებულებისა და ურთიერთგავლენის სწორად შეთვისებას (ეკოლოგიური პრინციპი). ორგანიზმთა განვითარების დარვინის მოძღვრების საფუძველზე შესწავლისას გაამახვილონ მოსწავლეთა ყურადღება შედარებით ანატომია-ფიზიოლოგიის, ემბრიოლოგიისა და პალეონთოლოგიის მონაცემების მართებულად გაგებაზე და ნათელჰყონ მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმთა წარმოშობის ერთიანი მატერიალური საწყისები. ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ დიდ რუს მეცნიერთა —კ.ა. ტიმირიაზევის, ი. მიჩურინის, ტ. ლისენკოსა და სხვათა დამსახურების გაშუქებას დარვინიზმის დაცვისა და განვითარების საქმეში. ნათელჰყონ მოსწავლეებისათვის ანტიდარვინისტების და დედამიწაზე ორგანიზმთა წარმოშობის იდეალისტურ-რელიგიური მოძღვრების არამეცნიერულობა და რეაქციული ბუნება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ორგანიული ბუნების შესახებ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შეხედულებათა საფუძვლიანად გაშუქებას. დარვინიზმის საფუძვლების კურსის გავლისას საჭირო ადგილი და დრო დაუთმონ ექსკურსიებს, ობიექტთა დემონსტრაციისა და სხვა სახის პრაქტიკული მუშაობის ჩატარებას.

5. გეოგრაფიის სწავლების დარგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ გეოგრაფიული ცნებებისა და გეოგრაფიული სახელების სწორად დასწავლისა და ფაქტორების მნიშნელობის შეგნებულად შეთვისებას. სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები რუკის კითხვაში, გამოიმუშაონ მოსწავლეებში გეოგრაფიის მასალის დალაგებული თხრობით გადმოცემის უნარი; სათანადო ყურადღება მიაქციონ საგნის სწავლებაში მხარეთმცოდნეობითი პრინციპის განხორციელებას. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ გეოგრაფიის შესწავლით ნათელი გახადონ მოსწავლეთათვის ჩვენი დიადი სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი სიმდიდრის როლი სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. გაალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონ მოსწავლეებს გეოგრაფიულ აღმოჩენათა მნიშვნელობა და დიდ გეოგრაფთა ცხოვრება-მოღვაწეობის დამსახურების მთავარი მომენტები; ავარჯიშონ მოსწავლეები ადგილის გეგმების შედგენაში. ცალკე თემების გავლისას, სადაც ამას თემის შინაარსი მოითხოვს, ჩაატარონ ექსკურსიები.

ეს წერილი განხილულ იქნეს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დაისახოს შესაფერისი ღონისძიებანი.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. იზოლაძე.**

1948 წ. 14 იანვარი

---

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2, ფურცელაძის ქ. № 5

უე01527 ტირაჟი 2000. შეკვ. №. 157.